# გარეჯის მაცნე



მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთი №3(113) 2016 წ. 1-15 თებერვალი ფასი 50 თეთრი

## მილოცვა



**დაბადების დღეს** (11 თებერვალი) ვულოცავთ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებელს **გიორგი გზირიშვილს.**

ვუსურვებთ ჯანმრთელობას, სიკეთეს, სიხარულს თავის ოჯახთან ერთად და წარმატებებს ჩვენი მუნიციპალიტეტისა და ქვეყნის აღმშენებლობის საქმეში

*საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულო*

*საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობა*

*გაზეთ „გარეჯის მაცნეს“ რედაქცია*

## ვიცნობდეთ ჩვენს მუნიციპალიტეტს



გვერდი 5

## ტერიტორიული ორგანო

## ლამბალო

გვერდი 4

## უძველესი დარგები

## მეცხვარეობა



გვერდი 3

## „რა განძი გვქონია...“



გვერდი 2-7

# მუნიციპალური გვერდი

## საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის თათბირი



### 2 თებერვალი, 2016 წ.

**საგარეჯოს** მუნიციპალიტეტის გამგეობის 2 თებერვლის თათბირს ამავე მუნიციპალიტეტის ***გამგებლის მოადგილე*** **გიორგი რევაზიშვილი** უძღვებოდა. თათბირზე გამგებლის წარმომადგენლებმა ტერიტორიულ ერთეულებში გააკეთეს ზეპირი ინფორმაციები ადგილზე არსებული ვითარებების შესახებ. როგორც წყაროსთავში გამგებლის წარმომადგენელმა გიორგი კერატიშვილმა აღნიშნა, სოფლის ბოლოში არსებული ე.წ. „პლატინის“ ხიდი ისეა დაზიანებული, რომ მძიმედ დატვირთული მანქანების გავლა უკვე შეუძლებელია. ხიდი მელიორაციის სამმართველოს ბალანსზეა, რომელიც მოსახლეობისათვის საფრთხეს წარმოადგენს. სოფელში მოსახლეობის სასმელი წყლით მომარაგებისათვის კეთდება სამი ჭაბურღილი, აქედან ორი „კერატიშვილების უბანში“ და ერთი „ბეჟიტაანთ უბანში“. აღნიშნულ უბნებში სასმელი წყალი ე.წ. „ბებერი წყლების“ წყაროდან მიეწოდებოდა აქაურ მოსახლეობას, მაგრამ ბოლო ხანს წყაროს წყლის დებეტმა საგრძნობლად იკლო... ჭაბურღილები კი აქაურ 300 ოჯახს – 1200 კაცს მოამარაგებს სასმელი წყლით. სოფელში ე.წ. „ბეჟიტაშვილების უბანში“ 1 კმ-ის სიგრძის ქუჩაზე გაკეთდა გარე განათება, რომელიც ათეული წლებია არ ყოფილა.

გამგებლის წარმომადგენლის ბადიაურში ნანა ტაველიშვილის ინფორმაციით სოფელში ე.წ. „სოკარის წყლის“ მილია დაზიანებული, რის გამოც სასმელი წყლით ვეღარ მარაგდება სოფლის მოსახლეობის გარკვეული ნაწილი.

თათბირზე წარმოდგენილი პრობლემატური საკითხების მოსაგვარებლად დაისახა მომავალში განსახორციელებელი ღონისძიებები.

### 9 თებერვალი, 2016წ.

**საგარეჯოს** მუნიციპალიტეტის გამგეობის სამშაბათის ტრადიციულ თათბირს ამავე ***მუნიციპალიტეტის გამგებელი*** **გიორგი გზირიშვილი** უძღვებოდა. გამგებლის წარმომადგენლის სოფელ ბადიაურში ნანა ტაველიშვილის მიერ გაკეთებული ზეპირი ინფორმაციით, უკვე გაკეთდა ე.წ. „სოკარის წყლის“ დაზიანებული მილი და მოსახლეობას წყალი მიეწოდება. გამგებლის წარმომადგენლის სოფელ სათაფლეში ემზარ გორგილაძის ინფორმაციით, სოფელ სათაფლის მოსახლეობას უახლოეს მომავალში მოუგვარდება სასმელი წყლით უწყვეტი მომარაგების საკითხი – სულ ახლახანს სპეციალისტების მიერ დათვალიერებულ და შესწავლილ იქნა ის სათავე-ნაგებობა, რომლიდანაც შესაძლებელი იქნება სასმელი წყლის პრობლემის საბოლოო მოგვარება.



გამგებლის წარმომადგენელმა სოფელ ხაშმში ზურაბ ყირმელაშვილმა ისაუბრა სასმელი წყლის პრობლემის მოგვარებისათვის სოფელში მიმდინარე სამუშაოებზე.

თათბირზე მწვავედ დაისვა საკითხი გამგებლის წარმომადგენლებიდან – იმ სოფლებში, სადაც ახლახანს განხორციელდა ბუნებრივი აირის მოსახლეობისათვის მიწოდება. როგორც ირკვევა, თითოეულ აბონენტს კომპანია „სოკარიგაზიდან“ ექმნება მთელი რიგი პრობლემები მოხმარებული ბუნებრივი აირის ღირებულების გადახდასთან დაკავშირებით, ეს კი მოსახლეობის მასიურ უკმაყოფილებას იწვევს.

თათბირზე წარმოდგენილი პრობლემების გამოსასწორებლად დაისახა ღონისძიებები, რომელთა განხორციელებაც უახლოეს დღეებში მოხდება.

თათბირზე ჩვენი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ საშემოდგომო ნათესებსა და მრავალწლიან ნარგავებში შექმნილ მდგომარეობაზე ინფორმაცია გააკეთა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საგარეჯოს საკონსულტაციო-საინფორმაციო სამსახურის უფროსმა ნიკო ჯავახიშვილმა. როგორც მან აღნიშნა, საშემოდგომო კულტურებში, მრავალწლიან ნარგავებში, ყამირსა და საძოვარზე მომრავლდა მღრღნელი – თაგვი, რომელიც აზიანებს ერთწლიან ბალახებსა და მრავალწლიან ნარგავებს, ამიტომ სოფლის მეურნეობის სამინისტრო მღრღნელის წინააღმდეგ ატარებს ქიმიურ ღონისძიებას და ჩვენი მუნიციპალიტეტისთვის ამ მიზნით 660 კგ თუთიის ფოსფიდი გამოიყო. სწორედ ამ მასალაზე უნდა მომზადდეს მოშხამულ-მისატყუარი მასალა, რისთვისაც ყოველ 10 კგ მასალაზე (დაღერღილი სიმინდი, ხორბალი, „კორმა“ და სხვა) აიღება 300 გრამი თუთიის ფოსფიდი. მასალა ჯერ დატენიანდება, რისთვისაც სასურველია საჭმელი ზეთი მეტი მიმზიდველობისათვის, მოეყრება თუთიის ფოსფიდი და აირევა კარგად. 1 ჰა-ზე 2-3 კგ მომზადებული მასალა აიღება და სოროში შეიტანება 3-4 მარცვალი. აქვე გასათვალისწინებელია ისიც, რომ მასალის მომზადებისა და ფართობის დამუშავების დროს მკაცრად უნდა იქნეს დაცული უსაფრთხოების წესები – გამოყენებულ უნდა იქნეს ხელთათმანები, რესპირატორი ან პირბადე. შეტანის დროს კი გამოყენებულ უნდა იქნეს კოვზები.

## საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა



**2016 წლის** 11 თებერვალს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის რიგგარეშე სხდომას ამავე ***მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე*** **ფრიდონ ბურდული** უძღვებოდა. მან სხდომის მონაწილეთ დღის წესრიგის საკითხები გააცნო.

დღის წესრიგის I საკითხზე „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 დეკემბრის №47 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ მოხსენება გააკეთა ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო, ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის საფინანსო, საბიუჯეტო და სამეურნეო განყოფილების უფროსმა*** **ხათუნა ყოპრლანაშვილმა** (თანამომხსენებელი მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე **ნიკოლოზ ვაჩრიშვილი**).

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა,: – დადგენილების პროექტის მომზადება გამოწვეულია საქართველოს მთავრობის 2016 წლის 4 თებერვლის № 175 განკარგულებით.

პროექტის მიღებასთან დაკავშირებით საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის შემოსულობები გაიზარდა 2 679 114 ლარით, გადასახდელები გაიზარდა 4430648,16 ლარით.

2679 114 ლარით გაიზარდა გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან-საქართველოს მთავრობის 2016 წლის 4 თებერვლის № 175 განკარგულებით 11 პროექტიდან დაფინანსდა 10 ინფრასტრუქტურული პროექტი, გამოყოფილია 2679 114 ლარი.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელებში განხორციელდა შემდეგი ცვლილებები:

*დასასრული მე-5 გვერდზე*

# საგარეჯოს მუნიციპალიტეტის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები
## (არასრული მონაცემები)

**არაოფიციალური მონაცემებით, საგარეჯოს მუნიციპალიტეტში კულტურული მემკვიდრეობის 200-ზე მეტი ძეგლია, რომელთა უმრავლესობა წარმოდგენილია მონასტრებით და ეკლესიებით. ამ ძეგლების დიდი ნაწილი შუა საუკუნეებით თარიღდება. აღსანიშნავია სოფ. უდაბნოსთან განლაგებული დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსი (დავით გარეჯის გამოქვაბული მონასტერი, ლავრა – გამოქვაბული მონასტერი, ნათლისმცემელი – გამოქვაბული მონასტერი, დავით გარეჯის უდაბნო – გამოქვაბული მონასტერი, ჩიჩხიტური – გამოქვაბული მონასტერი, წამებული – გამოქვაბული მონასტერი). აღსანიშნავია, აგრეთვე III-V–XVIII საუკუნეებით დათარიღებული ციხე-ქალაქი უჯარმა.**

წარმოგიდგენთ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დასახელებას, აგების თარიღს და მემკვიდრეობას.

1. პეტრე-პავლეს ეკლესია 1712-1714 წწ. ქ. საგარეჯოს მიდამოები
2. წმ. შიოს ეკლესია გვიანი შუა საუკ. ქ. საგარეჯოს მიდამოები
3. ეკლესია ლაშარის ჯვარი შუა საუკ. ქ. საგარეჯოს მიდამოები
4. ღვთისმშობლის შვერილაფსიდიანი
ეკლესია XVII-XVIII სს. (1843წ) ქ. საგარეჯო, დოდაშვილის ქ.



5. მრგვალი კოშკი გვიანი შუა საუკ. ქ.საგარეჯო, ცივგომბორის ქ.
6. ღვთისმშობლის ეკლესია გვიანი შუა საუკ. ქ. საგარეჯო, გაღმა უბანი
7. თვალთხევის
წმ. გიორგის ეკლესია VI-XVIII საუკ. ქ.საგარეჯოს მიდამოები თვალთხევის მარცხენა სანაპირო
8. კვირაცხოველის ეკლესია გვიანი შუა საუკ. ქ. საგარეჯო, ქვლივიძიანთ უბანი, სასაფლაოზე
9. წმ. მარინეს ეკლესია გვიანი შუა საუკ. ქ. საგარეჯო, ქურხულიანთ უბნის სასაფლაო
10. მთავარანგელოზის ეკლესია გვიანი შუა საუკ. ქ. საგარეჯო, ქურხულიანთ უბნის სასაფლაო
11. წმ დოდოს და სვიმონ მესვეტის
სახელობის ეკლესია VI-XIX სს ქ. საგარეჯო, რუსთაველის ქ.
12. ყვავიანის ღვთისმშობლის ეკლესია XVIIს ქ. საგარეჯო, გაღმაუბანი
13. მამა დავითის ნიში. VI ს. ქ. საგარეჯო, სტალინის ქ.
14. სამება – ყორღანაშვილების
საგვარეულო XIX ს. ქ. საგარეჯო, სათავეში.
15. მთავარანგელოზის ეკლესია VI-XVIIIსს ქ. საგარეჯო, ქურხულიანთ სასაფლაოს ზევით
16. კვირიკეს ეკლესია XIX-XX სს. სოფ. ანთოკი
17. პაპუნაშვილების მარანი XIX ს. სოფ. ანთოკი
18. ღვთისმშობლის ეკლესია შუა საუკუნეები სოფ. ანთოკი, ჩრდ-დას-ით 1 კმ.
19. წმ. გიორგის ეკლესია შუა საუკუნეები სოფ. ანთოკი ჩრ-დას-ით 2-3 კმ
20. ამაღლების ეკლესია შუა საუკუნეები სოფ. ასკილაური, დას-ით 10 კმ.
21. ღვთისმშობლის ეკლესია შუა საუკუნეები სოფ. ბურდიანი, მიდამოები
22. წმ. გიორგის ეკლესია შუა საუკუნეები სოფ. ბურდიანი, მიდამოები
23. ეკლესია პირიღვთისა გვიანი შუა საუკ. სოფ. გიორგიწმინდა ჩრ-დას-ით
24. თეთრი გიორგის ეკლესია XVIIს სოფ. გიორგიწმინდა
25. წმ. გიორგის ეკლესია გვიანი შუა საუკ. სოფ. გიორგიწმინდა ჩრ-ით 2-3 კმ.
26. მრგვალი კოშკი გვიანი შუა საუკ. სოფ. გიორგიწმინდა
27. ღვთისმშობლის შობის
სახელობის ეკლესია XIX ს. სოფ. გიორგიწმინდა
28/ კოშკის გორა XVI ს სოფ. გიორგიწმინდის სამხრეთით
29. ეკლესია “ადგილის დედა” გვიანი შუა საუკ. სოფ. გომბორი
30. შვერილაფსიდიანი ეკლესია XIX ს. სოფ. გომბორი
31. ღვთისმშობლის ეკლესია გვიანი შუა საუკ. სოფ. გორანა, სასაფლაოზე
32. წმ. მარიამის ეკლესია შუა საუკ. სოფ. გორანა, ადგილი “პატარა ვაკეები”
33. კვირიას ეკლესია გვიანი შუა საუკ. სოფ. გორანა, მიდამოები
34. ლომისის ეკლესია ადრეფეოდ. ხანა სოფ. გორანა, მიდამოები ლომისა
35. ციხე-კოშკი „ვერენა“ XVIII ს სოფ. გომბორი
36. კილმახის ციხე XVIII ს. სოფ. გომბორი
37. ჩაილურის ციხე XVII ს. სოფ. დიდი ჩაილური
38. კვირაცხოვლის სალოცავი XX ს-ის დასაწყისი სოფ. დიდი ჩაილური

*დასასრული მე-7 გვერდზე*



უძველესი დარგები

# მეცხვარეობა

## შემოსავლიანი და შრომატევადი

მეცხვარეობა საქართველოში ერთ-ერთი ძირძველი დარგია, რომლის განვითარებამ თავის დროზე სიღარიბიდან იხსნა არაერთი ოჯახი. ცხვრის მატყლისაგან ქალები ხალიჩებს, ტანსაცმელს, წინდებს, სხვადასხვა საოჯახო ნივთებს ქსოვდნენ. სასიხარულოა, რომ ამ ხელსაქმეს კვლავ მიუბრუნდნენ ქართველი ქალები და მათი ნახელავი – თექის ნაწარმი მსოფლიო ბაზარზე გავიდა. ყველასათვის ცნობილია ცხვრის ყველის გემოვნიანობაც. სსრკ-ს პერიოდში სხვა ქვეყნების ცხვრის ხორცთან შედარებით უპირატესობა ქართულ ცხვარს ჰქონდა. ასეა ახლაც. მასზე დიდი მოთხოვნაა. 2009 წლიდან საქართველოდან ყოველწლიურად 150-170 ათასი სული ცხვარი გადიოდა ირანში, არაბულ ქვეყნებში, აზერბაიჯანში, 2011 წლიდან – ისრაელში. ამ ქვეყნებიდან 17-18 მილიონი დოლარი შემოდიოდა ჩვენს ქვეყანაში. 2013 წლიდან კი საქართველოდან მარტო აზერბაიჯანში ექსპორტის სახით 13622 000 დოლარის ღირებულების ცხვარი გავიდა. მართალია, დიდია ჩვენს ცხვარზე მოთხოვნა, მაგრამ 2010 წლიდან არაბულმა ქვეყნებმა შეწყვიტა მოთხოვნა მასზე, უბრალოდ, კონკურენტის მიერ გავრცელებული ცრუ ინფორმაციის საფუძველზე – ცხვრის ისეთი დაავადებების გამო, როგორიცაა „ლურჯი ენა“ – კატარალური ცხელება და ცხვრის სხვა დაავადებები.

საინტერესოა, რატომ არის მუსულმანური სამყაროსათვის სასურველი ჩვენი პროდუქტი და რატომაა მოთხოვნა მაინცდამაინც ქართულ ცხვარზე? პასუხი უბრალოა და მარტივი – ხორცი გემრიელია სხვა ქვეყნების ცხვრის ხორცთან შედარებით და ამასთან ერთად, იაფიც! ქართული ცხვრის გამოზრდა მთლიანად საძოვარზე ხდება, საკვები ორგანულია, გაჯერებულია ვიტამინებით.

დღეისათვის მსოფლიოში 500-მდე ცხვრის ჯიშია გავრცელებული, საიდანაც მატყლი 43 ჯიშის ცხვარს არა აქვს. საქართველოში გამოყვანილია ორი აბორიგენული ჯიშის ცხვარი: თუშური და იმერული. ჩვენთან უხსოვარი დროიდან ხდებოდა ზამთრისა და ზაფხულის საძოვრების გამოყენება, შესაბამისად თუშურის ცხვრის ჯიშის ჩამოყალიბებას ხელი შეუწყო მომთაბარე მეურნეობის არსებობამ. ამ ჯიშს ჩამოუყალიბდა ცვლად კლიმატთან ადვილად შეგუებადი ბუნება, სტრესის მიმართ მდგრადობა. მას ძლიერი მუხლი აქვს, რაც დიდ მანძილზე წელიწადში 4000-4500 კმ-მდე გადაადგილების საშუალებას აძლევს.

საერთოდ, მეცხვარეობა გავრცელებულია აღმოსავლეთ საქართველოში, თუშეთში, კახეთში, ხევსურეთში, მთიულეთში, ქართლში, მესხეთ-ჯავახეთსა და თრიალეთში.

თუშური ცხვრის გავრცელების არეალია აღმოსავლეთ საქართველო. მისი წარმოშობა დაკავშირებულია ქართველთა მონათესავე წოვა-თუშების გადმოსახლებასთან საქართველოს ტერიტორიაზე X საუკუნის II ნახევრიდან. მოხდა მათი უხეშმატყლიანი და დუმიანი ცხვრის შეჯვარება იმ დროისათვის აქ გავრცელებულ წმინდა და ნახევრადწმინდა მატყლიან ცხვრის ჯიშებთან, ხოლო მომდევნო ეტაპზე მოხდა ამ ცხვრის შეჯვარება „ყარაბულადთან“, რომელიც გავრცელებული იყო დღევანდელი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე. სწორედ ამ ჯიშის პოპულარობა გამოიწვია იმან, რომ მას გამომუშავებული აქვს ამტანობა მომთაბარე მეცხვარეობისთვის. ამასთან, მისთვის საძოვრად ვარგისია როგორც ნახევრად უდაბნოს ტიპის მწირი მიწები, ისე ზაფხულობით კავკასიონის ძნელადმისადგომი ციცაბო მთები.

თუშური ცხვრის ვერძის ცოცხალი მასა საშუალოდ არის 60-80 კგ, თუმცა, შეიძლება მან 100 კგ-საც გადააჭარბოს. ნერბი კი საშუალოდ არის 40-50კგ. მისი მატყლი შედარებით უხეშია, ამიტომ მატყლზე მოთხოვნა მაინცდამაინც არ არის.

იმერული ცხვარი საქართველოში IV-VI საუკუნეებშია შემოყვანილი. როგორც მეცნიერები ვარაუდობენ, იგი კოლხეთის ნაზმატყლიანისა და სხვა ჯიშის უხეშმატყლიანთან შეჯვარებით გაჩნდა. იგი სწრაფად მრავლდება. წელიწადში იძლევა დიდ ნამატს, ერთ ჯერზე შეუძლია ორი ან ხუთი ნამატის მოცემა, მაშინ როცა, თუშური ცხვარი წელიწადში მხოლოდ ერთს ან ორს იძლევა. იმერული ცხვარი ბატკნის მოგებიდან 20-25 დღეში ისევ ნერბვაზე მიდის და ინერბება, 11-14 თვის ნერბი უკვე ბატკანს იგებს. ამასთან, სხვა ჯიშის ცხვრებთან შედარებით მაკეობის პერიოდი მოკლე აქვს. – 137-143 დღე. იმერული ცხვარი 25-35 კგ-ს იწონის და წელიწადში 3-4 კგ მატყლს იძლევა, ვერძი 35-45 კგ-ს იწონის. იმერული ცხვრის ხორცი არ არის ცხიმიანი და ამიტომ დიეტურ საჭმელად ითვლება.

რაც შეეხება თითქმის გადაშენების გზაზე მყოფ ქართულ ნახევრადწმინდამატყლიან ცხიმკუდიან ცხვარს, იგი ადგილობრივი ნერბებისა და წმინდამატყლიანი ვერძების შეჯვარების შედეგად 1948 წელს მიიღეს, რომლის ცოცხალი წონა ნერბისა 46-47 კგ-ია ან 60-65 კგ, ხოლო ვერძების – 65-70 კგ და შეიძლება 125 კგ-საც მიაღწიოს.

ქართული წმინდამატყლიანი ცხიმკუდიანი ცხვარი 1954 წელს იქნა გამოყვანილი თუშური ნერბისა და წმინდამატყლიანი ვერძების შეჯვარებით. ნერბის წონა აქ 52-54 კგ იყო, ვერძის 76-78 კგ. აღნიშნული ჯიშის ცხვარი ფიზიკურად აღარ არსებობს – გამქრალია მისი სანაშენე ბირთვიც.

საქართველოში საბჭოთა კავშირის დროს, ბოლო პერიოდში 2 მილიონი ცხვარი იყო, ახლა 700-800 ათასი სულია. ქართველი მეცხვარეები ყიზლარის ზამთრის საძოვრებით სარგებლობდნენ, დღეს კი ეს საძოვარი ქართული ცხვრისთვის მიუწვდომელია. მეცხვარეობას კახეთში მხოლოდ სამი რაიონი მისდევს – დედოფლისწყარო, სიღნაღი და საგარეჯო. სამივე რაიონის ცხვრისათვის საძოვარი 350 ათასი ჰა მიწის ფართობზეა. ისე გამოდის, 1 ჰა-ზე ორი ცხვარი ბალახობს, რაც 1-ით მეტია. ამიტომაც, სადაც მაღალია მიწის ეროზიები, იქ საძოვრების გაუდაბნოების საშიშროებაც იქმნება.

საინტერესოა, რა მდგომარეობაა კონკრეტულად ჩვენს მუნიციპალიტეტში მეცხვარეობის განვითარების კუთხით. ამ მიზნით სასაუბროდ მოვიწვიეთ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საგარეჯოს საკონსულტაციო-საინფორმაციო სამსახურის უფროსი ნიკო ჯავახიშვილი:

– საგარეჯოს მუნიციპალიტეტი ცხვრის სულადობით საქართველოში პირველ ადგილზეა, დღეის მდგომარეობით ცხვრის სულადობა შეადგენს 232470 სულს, (1980 წელს ცხვრის სულადობა იყო 127000 სული).

დღეის მონაცემებით ჩვენს მუნიციპალიტეტში 146 ფიზიკურ პირს ჰყავს ცხვარი, სადაც 546 ადამიანია დასაქმებული.

ერთ ნერბზე საშუალო წლიური წველადობა შეადგენს 20 კგ-ს, ერთი სული ცხვრისა და თხის საშუალო წონა შეადგენს 25-30 კგ-ს. საშუალო ნაპარსი ერთ სულზე 2-2,5 კგ-ია.

მუნიციპალიტეტში ძირითადში გავრცელებულია თუშური ჯიშის ცხვარი, საკმაოდ დიდ რაოდენობას შეადგენს ნაჯვარი (არეული) ჯიში, ასევე გვხვდება (ნაკლებად) იმერული ცხვარი.

მეცხვარის წინაშე დგას შემდეგი პრობლემები: მოუწყობელი გადასარეკი ტრასები და პირუტყვის მოსასვენებელი მოედნები, მოძველებული და მწყობრიდან გამოსული ცხოველთა სადგომები.

მუნიციპალიტეტში არ ხდება მეცხოველეობის მიმართულებით ფერმერული მეურნეობების წარმოების ორგანიზაცია და მართვის მეთოდების გამოყენება. ფერმერთა ძირითადი ნაწილი უძღვება ექსტენსიურ, დაუგეგმავ მეურნეობას. სწორედ ეს შეიძლება მივიჩნიოთ ყველა სხვა დანარჩენი პრობლემის მიზეზად. ეს პრობლემა მეტ-ნაკლებად მეცხოველეობის ყველა მიმართულებით იჩენს თავს. წარმოების არასრულყოფილი ორგანიზაციის გამო ფერმერების მიერ არ ხდება პირუტყვის მოთხოვნილებების გათვალისწინება კვების, სადგომის მოწყობისა და ჰიგიენური პირობების მიმართ, არ იგეგმება მომავალი საწარმოო წელი, რაც განაპირობებს წარმოების ბუნებრივ სეზონურობას. ასევე, ამ მიზეზით არ ხდება ბუნებრივი საკვები სავარგულების რაციონალური გამოყენება. მოცემული მიზეზები თავის მხრივ განაპირობებს უარყოფით სელექციას, რასაც მივყავართ ჯიშობრივ დეგრადაციამდე. ყოველივე ეს განაპირობებს ერთეული ფერმერის მიერ წარმოებული პროდუქციის სიმცირეს და ბაზარზე მიწოდების არასტაბილურობას. პროდუქციის არასტაბილური წარმოება კი ართულებს მის რეალიზაციას.

მეცხოველეობის სპეციალიზაციისათვის მისი პროდუქტიულობის ამაღლებისათვის და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის ერთ-ერთი ძირითადი პირობაა მტკიცე საკვები ბაზის შექმნა. ამ მიზნით მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს სანაწვერვალო და შუალედური კულტურების თესვის გაფართოებას, საკვები კულტურების ნათესებში მრავალწლოვანი ბალახების ხვედრითი წონის გადიდებას, მინდვრის ყველა კულტურის, მათ შორის მარცვლეული და საკვები კულტურების მოსავლიანობის ამაღლებას. მუნიციპალიტეტის მთიან სოფლებში მეცხოველეობის განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ღონისძიებად





უნდა ჩაითვალოს ბუნებრივი საკვები სავარგულების პროდუქტიულობის ამაღლებასთან ერთად იმ დისპროპორციის შესუსტება, რომელიც არსებობს ზაფხულისა და ზამთრის საკვები რესურსების თანაფარდობაში. ეს ღონისძიება უნდა განხორციელდეს საძოვრების საფუძველზე, თივის საერთო მოსავლის გადიდების მიზნით. მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდება ძირითადად ფარის ჯიშური შემადგენლობისა და სტრუქტურის გაუმჯობესებით და სულადობის ზრდით უნდა მოხდეს. აუცილებელია პირუტყვის მოვლა-შენახვის გაუმჯობესებული სისტემის შემოღება, მეცხოველეობის ფერმებში შრომატევადი პროცესების მექანიზაციის დონის ამაღლება და თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა.

მუნიციპალიტეტში მეცხოველეობის სწორად განვითარებისთვის აუცილებელია მსხვილი სპეციალიზებული მეურნეობების ჩამოყალიბება. ამ მხრივ დადებითი შედეგის მოტანა შეუძლია ფერმერთა კოოპერაციას. მითუმეტეს ამ მიმართულებით უკვე არსებობს გარკვეული გამოცდილება მეცხვარე და მსხვილი რქოსანი პირუტყვის მეპატრონე ფერმერებს შორის. ფერმერები პირუტყვის ჯგუფური ძოვებისათვის სეზონურად შექმნილი გაერთიანებების მეშვეობით ზოგავენ დროსა და ფულად რესურსს. მათთვის ასევე ხელსაყრელი უნდა იყოს ისეთი გაერთიანებების ჩამოყალიბება, სადაც იქნება არა მხოლოდ საერთო საძოვარი, არამედ საერთო სადგომი, საერთო გამოსაზამთრებელი საკვები ბაზა და საერთო გასაღების ბაზარი. ამ შემთხვევაში დანახარჯები შემცირდება და წარმოების სრულფასოვანი მართვაც ადვილი შესაძლებელი იქნება. ზემოთ მოყვანილი მოსაზრების განხორციელებაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს ადგილობრივი ფერმერების განათლების დონეს არა მხოლოდ ტექნიკურ, არამედ ორგანიზაციულ საკითხებშიც. აქედან გამომდინარე, კოოპერაციასთან ერთად მთავარი პრიორიტეტია საკონსულტაციო და საგანმანათლებლო მუშაობა.

***

დღეს მეცხვარეობის განვითარებას ბევრი პრობლემა უშლის ხელს, მათ შორის შეიძლება გამოიყოს უპირველესად:

– თანამედროვე ტექნოლოგიები მე-18, მე-19 საუკუნეების დროინდელია.

– არ ხდება ჯიშების სელექცია;

– არ ხდება უცხოური ჯიშების შემოყვანა;

– დასასრულებელია ცხვრის გადასარეკი ტრასები, ტრასებზე გასაბანებლები, კარანტინების, რეგისტრაციის, დემარკაციის პუნქტები;

– ჭირს მატყლის რეალიზაცია;

– ინფრასტრუქტურა – 1930-1950 წლებშია აშენებული და სავალალო მდგომარეობაშია ცხვრის ფარეხები და მწყემსთა საცხოვრებელი სახლები.

## მცირემიწიან ფერმერთა საყურადღებოდ!

„მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროგრამის“ ფარგლებში დაიწყო სასოფლო-სამეურნეო ბარათების გაცემა. ბარათის მისაღებად შეგიძლიათ მიმართოთ ადგილობრივ ტერიტორიულ ორგანოებს.

# ტერიტორიული ორგანო

## ლამბალო

**ლამბალოს თემი**

ლამბალო, ზემო ლამბალო, ქვემო ლამბალო

**კომლი** – 1700

**მოსახლეობა** – 8841

**მიწის ფართობი** სულ – 2098 ჰა

**აქედან:**

**კერძო** – 314 ჰა

**სახელმწიფო** – 1784 ჰა

**სასოფლო-სამეურნეო მიწები** სულ – 1752 ჰა

**აქედან**:

**კერძო** – 314 ჰა

**სახელმწიფო** – 1438 ჰა

**სახნავი** – სულ – 979 ჰა

კერძო – 979ჰა

**საძოვარი** სულ – 598 ჰა – სახელმწიფო

**მრავალწლიანი ნარგავები** სულ 175 ჰა – კერძო

**გამგებლის წარმომადგენელი** ***ლამბალოს თემში*** **<u>მახმუდ ალიევი</u>**



**<u>ინფრასტრუქტურა</u>**

**სასმელი წყალი** – გასულ წელს „სოფლის მხარდაჭერის" პროგრამით ლამბალოს თემის სოფლების ზემო ლამბალოსა და ქვემო ლამბალოსთვის, ასევე, იორმუღანლოს თემის სოფელ ქეშალოსა და თულარის თემის სოფელ თულარისათვის გამოყოფილი თანხა აღნიშნული სოფლების მოსახლეობის მოთხოვნით გაერთიანდა (სულ 250 931 ლარი) დუზაგრამიდან, ე.წ. „სოკარის" წყლიდან სასმელი წყლის ცენტრალური მილის გაყვანა დაიწყო. აღნიშნულ სამუშაოებს შპს „კავკასენერგოს" მშენებლები აწარმოებდნენ. ამ თანხით მხოლოდ 4 კმ 600 მ სიგრძის სასმელი წყლის მილის გამოყვანა მოხერხდა. მთლიანად კი აღნიშნული მაგისტრალი 7 კმ-ის სიგრძისაა. სოფლების მოსახლეობა დანარჩენი 2 კმ 400მ მაგისტრალის გაყვანას მიმდინარე წლის „სოფლის პროგრამიდან" დაფინანსებული თანხის საშუალებით ვარაუდობს. სასმელი წყლის ეს მაგისტრალი 5000 ადამიანის 1700 კომლის მიერ სასმელი წყლის მოთხოვნას დააკმაყოფილებს. მართალია, ლამბალოში სასმელი წყლის 5 ჭაბურღილია, მაგრამ მოსახლეობა ზაფხულის პერიოდში საკარმიდამო ნაკვეთების მოსარწყავად იყენებს, რის გამოც ზაფხულში ჭირს ჭაბურღილებიდან მოსახლეობის სრული მომსახურება.

**<u>გზა</u>**

**2013 წელს** ზემო ლამბალოში შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაციას (მიწის ვაკისის აღდგენა) – 65508 ლარი მოხმარდა.

2014 წელს აქ ქვ. ლამბალოს შიდა სასოფლო გზის რეაბილიტაციას 25963 ლარი მოხმარდა, ზემო ლამბალოს სანიაღვრე არხის რეაბილიტაციის სამუშაოებს – 40000 ლარი.

საერთოდ, ცენტრალური გზა, რომელიც სოფლებზე გადის 8 კმ-ის სიგრძისაა. ეს გზა საკმაოდ დაზიანებულია. მიმდინარე წელს კი ნაწილი – 4კმ პალდოდან თულარამდე უნდა გაკეთდეს.

ლამბალოსა და თულარის ხიდების რეაბილიტაციისათვის 168308 ლარი გამოიყო, მაგრამ მშენებლობა დღესაც დაუსრულებელია.

**<u>სარწყავი</u>**

**სარწყავი** წყლის არხი, რომელიც აქაურ და არა მარტო ლამბალოს თემის სოფლებს ამარაგებდა სასმელი წყლით, 25 წელიწადია უფუნქციოდაა, ფაქტიურად აღარ არის – დამტვრეულია რკინა-ბეტონის კონსტრუქციები, ან საერთოდ აღარ არსებობს. სოფლებს კი სარწყავი წყალი სოფლის მეურნეობის პროდუქტების მოსაყვანად სჭირდება.

**<u>კომუნიკაციები</u>**

ელექტროენერგია უწყვეტად მიეწოდება ლამბალოს თემის სოფლებს. აქ გამრიცხველიანებულია ყველა კომლი და პარალელურად შეიცვალა ელექტროსადენები და ელექტროგადამცემი ხაზების საყრდენი ბოძები. სოფლის არც ერთ გზას არ აქვს გარეგანათება.

გაზიფიცირებულია მოსახლეობის 35-40%, სოფლების მოსახლეობის მთლიანი გაზიფიცირებისათვის სულ 50 კმ-ის სიგრძის მილია საჭირო.

**<u>განათლება</u>**

**სკოლა**

**დავით როსტომაშვილი** – ***ლამბალოს საჯარო სკოლის მენეჯერი:***



საჯარო სკოლაში 1031 მოსწავლეა.

აქედან:

I კლასში 125 მოსწავლეა.

XII კლასში – 19

პედაგოგი – 74

**სკოლაში** ფუნქციონირებს **ქართული** და **აზერბაიჯანული** სექტორი.

ქართულ სექტორზე 230 მოსწავლეა, სადაც 25 მასწავლებელი ქართველია.

სწავლის პროცესი ჯერჯერობით 5 ნაქირავებ ფართებში მიმდინარეობს, რადგან სკოლის ახალი შენობა ჯერ კიდევ არ არის მზად მოსწავლეების მისაღებად.

**ახალი შენობა** სამსართულიანია, გათვლილია 1000 მოსწავლეზე;

**კლას-ლაბორატორიები** 8 ოთახში განლაგდება;

**საკლასო ოთახი** სულ 46-ია.

**შენობა** ორი კორპუსისაგან შედგება: სასწავლო კორპუსი და მეორე კორპუსი – სპორტდარბაზისა და სააქტო დარბაზისათვის.

შენობაში გაკეთებულია გათბობის სისტემა, ბუნებრივი აირი შენობამდეა მიყვანილი, ასევე გაყვანილია ელექტროგაყვანილობა, მოწესრიგებულია წყლის სისტემაც. აღნიშნული კომუნიკაციები შენობამდეა მიყვანილი და მხოლოდ დაერთებაღა სჭირდება, რაც უახლოეს ხანში განხორციელდება და სკოლაში, როგორც ვარაუდობენ, სასწავლო პროცესი მარტიდან დაიწყება.

ახალ შენობაში სასწავლო პროცესის განახლებას დიდი მოლოდინით ელიან აქაური პედაგოგებიც და მოსწავლეებიც. ბოლო წლებში ლამბალოს საჯარო სკოლის 45-მა კურსდამთავრებულმა სწავლა საქართველოს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში განაგრძეს, სწავლის გაგრძელების სურვილი კიდევ ბევრს აქვს, ოღონდ ჯერ-ჯერობით ახალ საკლასო ოთახებში, ახალი სასკოლო ინვენტარით ბოლო სასწავლო წლის რამდენიმე თვის გატარებაზე ოცნებობენ ლამბალოელები.

**სკოლამდელი აღზრდის** ორი ალტერნატიული დაწესებულებაა აქ.

№1 ალტერნატიული სკოლამდელი აღზრდის პედაგოგია **თეა ბურბენიძე,** ხოლო №2-ის **ელვირა ალახვერანოვა ჯანდაცვა**

ლამბალოს თემის მოსახლეობის ჯანმრთელობას იორმუღანლოს საექიმო ამბულატორია ემსახურება.



საკრებულოს დეპუტატი კაზამფარ მამედოვი

## სკოლამდელი აღზრდის ახალი კერა

# აქ მალე კონტიგენტი საგრძნობლად მოიმატებს

**საგარეჯოს** სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება №6 სულ რამდენიმე თვეა რაც გაიხსნა. ახალ სასწავლო წელს კვლავ ახმიანდა ათეული წლების წინ ბავშვებისგან მიტოვებული შენობა, რომელიც 1981 წლიდან საგარეჯოს №2 საბავშვო ბაგა-ბაღის (ყოფილი გამგე ც. კაკუტაშვილი) სახელს ატარებდა. გვახსოვს, რა სიხარულით გადავიდნენ მაშინ ახალ შენობაში ძველი, ერთსართულიანი შენობიდან აღსაზრდელები, ნათელი, დიდი, სამეცადინო, სათამაშო, საძინებელი ოთახები ოთხ საბაღე და ორ საბაგე ასაკის 140 აღსაზრდელს მართლაც რომ ზღაპრულ პირობებს უქმნიდა სათამაშოდ, სამეცადინოდ, ძილისთვის. აქ მაშინდელი გამგის აქტიურობითა და რაიონის ხელმძღვანელობის ხელშეწყობით განსაკუთრებული ადგილი მიუჩინეს წითელი ფერის როიალსა და პიანინოს იმ სააქტო დარბაზში, სადაც ბავშვები მშობლებსა და მოწვეულ სტუმრებს ხალისიანი, ბედნიერი სახეებით კონცერტებსა და საბავშო წარმოდგენებს უმართავდნენ. ბაგა-ბაღი საკავშირო კონკურს-დათვალიერებებშიც იღებდა მონაწილეობას და არც წარმატებები ეკლდათ.






აღმზრდელ-მენეჯერი ეკა დარისპანაშვილი

გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან ყველაფერი შეიცვალა, ნელ-ნელა გაუქმდა ქვეყანაში საბავშვო ბაღები და რატომღაც – დემოგრაფიული მდგომარეობის, ვითომდა კონტიგენტის სიმცირის გამო, სწორედ ამ ბაგა-ბაღმა შეწყვიტა ფუნქციონირება. წლების განმავლობაში უფუნქციოდ იყო. სულ რამდენიმე წლის წინ აქ ბინა ილია ჭავჭავაძის სახელობის სასწავლებელმა დაიდო... გასული, 2015 წლის სექტემბრიდან კი აქ მშობლებთან ერთად სიხარულით შემოხსნეს კარები ბავშვებმა. აქ აღმზრდელ-მასწავლებელი (მენეჯერის ფუნქციასაც ასრულებს) ეკა დარისპანაშვილი, თანაშემწე ნანა ვაჩნაძე (მუსიკის მასწავლებლობასაც უწევს ბავშვებს), მზარეული ნინო ოტიაშვილი (ადრე ამ საბავშვო ბაგა-ბაღის აღმზრდელ-მასწავლებელი იყო), ექთანი მარი სუხაშვილი, დამლაგებელი ნანა გულაღაშვილი 25 ბავშვის აღზრდას ემსახურება. დიდი, ნათელი ოთახი შეშის ღუმელით თბება და პატარები სითბოსა და მზრუნველობაში ეუფლებიან იმ ცოდნას, რაც მათი ასაკის ბავშვებისთვისაა გათვლილი. აქ ერთი ჯგუფია ჯერ-ჯერობით, სადაც ორი სასკოლო ასაკისაა – ვანო დარისპანაშვილი და გიორგი ქვლივიძე სექტემბრიდან სკოლის პირველი კლასის კარებს შეაღებენ, ამიტომ მათთან განსაკუთრებული პროგრამით მუშაობა უწევს აღმზრდელ-პედაგოგს. მათ გვერდით არიან და-ძმა ნუგო და მარი კაპანაძეები, ტყუპები ანა და გიორგი ქისტაურები, ნინი და ვანო დარისპანაშვილებიც. თუმცა ჯერ-ჯერობით ჯგუფში 25 აღსაზრდელია, მაგრამ აქ უფრო მეტ მშობელს უჩნდება სურვილი გაზაფხულიდან შვილის მოყვანის, ერთმაშად თითქმის 200 განცხადება იყრის თავს ახალი სასწავლო წლიდან – სექტემბრიდან. დაწესებულებაში კი მხოლოდ ორი ოთახია – ერთი სამეცადინო და სათამაშო და მეორე კი – საძინებელი. სამზარეულო კეთილმოწყობილია, ასევე, სველი წერტილებიც. დაწესებულების შემდგომი გაფართოების – ახალი ჯგუფის მიღების პერსპექტივაც არსებობს აქ – შენობის I სართული, ოღონდ აუცილებელია მთელი რიგი სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების ჩატარება.





ლამბალოს ალტერნატიული საბავშვო ბაღი №1-ის აღსაზრდელები

# საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

**დასასრული**

***საქართველოს მთავრობის 2016 წლის 4 თებერვლის № 175 განკარგულებით:***

*1)* **ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მშენებლობის, რეკონსტრუქციის და რეაბილიტაციის** ხარჯებში დაემატა 2 068 298 ლარი: ქ. საგარეჯოში, დოდაშვილის ქუჩაზე ასფალტის საფარის და სანიაღვრე არხების მოწყობა – 212 495 ლარი; სოფელ შიბლიანში მისასვლელი გზის მოასფალტება და სანიაღვრე არხების მოწყობა – 1 227 571 ლარი; ქ.საგარეჯოში, ქეთევან წამებულის ქუჩაზე ასფალტის საფარის და სანიაღვრე არხების მოწყობა – 322 932 ლარი; ქ.საგარეჯოში, წერეთლის ქუჩაზე ასფალტის საფარის და სანიაღვრე არხების მოწყობა –181 924 ლარი; ქ.საგარეჯოში, ქურდიანის ქუჩაზე ასფალტის საფარის და სანიაღვრე არხების მოწყობა – 41 714 ლარი; ქ.საგარეჯოში, ჯანგულაშვილის ქუჩაზე ასფალტის საფარის და სანიაღვრე არხების მოწყობა – 81 662 ლარი.

2) **წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია და მოვლა-შენახვის ხარჯებში** დაემატა 426 866 ლარი: სოფელ ხაშმში სათავე ნაგებობის მოწყობა და შიდა ქსელების რეაბილიტაცია – 252 367ლარი; სოფელ პატარა ჩაილურში სატუმბი რეზერვუარისა და ცენტრალური სასმელი წყლის მაგისტრალის მოწყობა – 174 499 ლარი;

3) **განათლების ხარჯებში დაემატა** 183 950 ლარი: სოფ. ბადიაურის საბავშო ბაღის რეაბილიტაცია 104 797 ლარი; ქ.საგარეჯოს 3 საბავშო ბაღის რეაბილიტაცია 79 153 ლარი.

***ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით (930017,32 ლარი გასული წლის ნაშთიდან) საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელებში განხორციელდა შემდეგი სახის ცვლილებები:***

375 ლარით გაიზარდა მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხვა ხარჯები.(წინა წლის ვალდებულება დეპუტატის გაუცემელი ერთი თვის ხარჯი).

29840 ლარით გაიზარდა მუნიციპალიტეტის გამგეობის ხარჯები.(8640 ლარი ტერიტორიული ორგანოებისათვის შეშის შეძენა წინა წლის ვადებულება, 7000 ლარი ხაზინასთან ინტეგრირებული ბუღალტრული პროგრამის შესაძენად, 3000 ლარი შ.პ.ს „ტრანსპორტის" ლიკვიდაციის თანხა, 11200 ლარი საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება თ.ბეჟიტაშვილის იძულებით განაცდურის ანაზღაურება.)

***ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მშენებლობის, რეკონსტრუქციის და რეაბილიტაციის*** ხარჯებში დაემატა 172350ლარი: თამარ მეფის ქუჩაზე საფეხმავლო ბილიკის მოწყობა და ხიდის შეკეთება 90,0 ათ.ლარი; გრეიდერის შეძენა (თანხის დამატება) 75.0 ათ.ლარი.7350 ლარი სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ღირებულება წინა წლის ვალდებულება.

***წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია და მოვლა-შენახვის*** ხარჯებში დაემატა 145654,62 ლარი: უჯარმის წყალმომარაგება 6994,85 ლარი; სოფელ ჩაილურში ლითონის რეზერვუარის მოწყობა 5497,39 ლარი;საგარეჯოში კოსტავას ქუჩაზე № 14 და 16 კორპუსებისათვის ლითონის რეზერვუარის და სატუმბი სადგურის მოწყობა 24997,80 ლარი; სოფელ კოჭბაანში რეზერვუარის რეაბილიტაცია 5993,94 ლარი; სოფელ მზის გულში წყლის სათავეზე დრენაჟისა და რკ.ბეტონის შემკრების მოწყობა 5479,22 ლარი;სოფელ ყანდაურაში წყალმომარაგების მოწყობა 8998,78 ლარი; სოფელ თოხლიაურში ჭაბურღილის მოწყობა-წინა წლის ვალდებულება 7147 ლარი; ქ.საგარეჯოში მშვიდობის ქუჩაზე ჭაბურღილის მოწყობა წინა წლის ვალდებულება 3312 ლარი, სოფელ ხაშმის წყალმომარაგების სისტემის დაზიანებული მონაკვეთის შეკეთების სამუშაოები- წინა წლის ვალდებულება 3342 ლარი, ქ.საგარეჯოში 2 ჭაბურღილის მოწყობა ქეთავან წამებულის და კოსტავას ქუჩებზე 70.0 ათ.ლარი. 3891,64 ლარი სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ღირებულება წინა წლის ვალდებულება.

**დასუფთავების ღონისძიებების ხარჯებში** დაემატა 42 700 ლარი: სკვერების და პარკების დასუფთავება (დაკლებული თანხა).

**გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაციის ხარჯებში** დაემატა 42337,70ლარი. მ.შ გარე განათების მომსახურეობა (დღგ-ს თანხის დამატება) 9340 ლარი, არაფინანსური აქტივების ზრდა სოფელ ყანდაურის გარე განათება 7997,7 ლარი და თამარ მეფის ქუჩის გარე განათება (დიოდური) 25000 ლარი.

**სკვერების, ბაღების მოვლა- შენახვა და ექსპლუატაციის ხარჯები** გაიზარდა 100 000 ლარი. ქ. საგარეჯოში სკვერისა და ლიტერატურული კაფის მოწყობა.

**კეთილმოწყობის სხვა ღონისძიებების** ხარჯებში დაემატა 295 333 ლარი.

ქ.საგარეჯოში ბაზრის მოწყობა 245333 ლარი, სოფელ იორმუღალნოში იუსტიციის სახლის გარე პერიმეტრის მოპირკეთების სამუშაოები 50,0 ათ.ლარი.

**განათლების** ხარჯები გაიზარდა 70354 ლარით: უდაბნოს საბავშო ბაღში ახალი მრიცხველის შეძენა-მონტაჟი 5000 ლარი, მანავის (ბურდიანის) ბაღის რეაბილიტაცია 60000 ლარი. 5354 ლარი სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ღირებულება წინა წლის ვალდებულება.

სხვა ხარჯები ***კულტურის ხაზით*** გაიზარდა 10648 ლარით.საახალწლო გარე განათების მოწყობის წინა წლის ვალდებულება 7648 ლარი, ფეიერვერკი წინა წლის ვალდებულება 3000 ლარი.

**ამბულატორიების** ხარჯები გაიზარდა 20 400 ლარით;

გიორგიწმინდის ამბულატორიის რეაბილიტაცია 18000ლარი, 2400 ლარი დიდიჩაილურის და ხაშმის ამბულატორიების პროექტირების ხარჯი.

***სტიქიური უბედურების შედეგად*** დანგრეული სახლის მაცხოვრებელთა კომპენსაციის ხარჯი გაიზარდა 25 ლარით.

425608,10 ლარით გაიზარდა -2015 წლის 20 იანვრის 39 მთავრობის განკარგულებით 2016 წელს გადმოსული სამუშაოების ღირებულება და წინა წლის ვალდებულებები(გზების რეაბილიტაცია 81233,09 ლარი, წყლის რეაბილიტაცია 333730,80ლარი, სკოლამდელი დაწესებულებები 10644,21 ლარი).

150572,94 ლარით გაიზარდა -2014 წლის № 34 მთავრობის განკარგულებით 2016 წელს გადმოსული სამუშაოების ღირებულება და წინა წლის ვალდებულებები( გზების რეაბილიტაცია 89858,80 ლარი, წყლის სისტემების რეაბილიტაცია 60714,14 ლარი).

215244,80 ლარით გაიზარდა -2015 წლის № 506 მთავრობის განკარგულებით სოფლის პროგრამის „2016 წელს გადმოსული სამუშაოების ღირებულება და წინა წლის ვალდებულებები (წყლის რეაბილიტაცია 61194,40 ლარი, გზების რეაბილიტაცია 113140,80 ლარი, ამბულატორიები 3525,90 ლარი, გარე განათება 1144,90 ლარი, კეთილმოწყობა 10357,3 ლარი, ნაპირსამაგრი სამუშაოები 4861,10 ლარი, სანიაღვრე არხები 6643,50 ლარი, სარწყავი არხები 10021 ლარი, სკოლამდელი დაწესებულებები 4355,90 ლარი).

30091 ლარით გაიზარდა -2014 წლის № 471 მთავრობის განკარგულებით „სოფლის პროგრამის 2016 წელს გადმოსული სამუშაოების ღირებულება და წინა წლის ვალდებულებები ( სარწყავი არხები 5305,77 ლარი, წყლის რეაბილიტაცია 24785,23 ლარი).

მეორე საკითხზე ***„საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ მოხსენება გააკეთა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის, ქონების მართვის, ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკისა და სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის*** **გიორგი ქურდოვანიძემ.**

სხდომის მონაწილეებმა მოისმინეს და საკითხი „აიპ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის 2016 წლის დელეგირებული საქმიანობის განსახორციელებელი პროგრამის, პროგრამის ხარჯთაღრიცხვის, შრომითი რესურსების და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ".

საკითხის ***„საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალური, კულტურის განათლებისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ" საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 4 სექტემბრის №65 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე" მოხსენება გააკეთა ამავე კომისიის თავმჯდომარემ*** **მევლუდ დუჩიძემ.** ***„ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის კომისიის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ" საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 4 აგვისტოს №67 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე" მოხსენება გააკეთა ამავე კომისიის თავმჯდომარემ*** **ივ. ბეჟიაშვილმა.**



## „პოეზია – აზრადქცეული ემოცია"

## ახალი სახელები

## გურამ სამუნაშვილი



**გურამი საგარეჯოელია. საგარეჯოს IV საჯარო სკოლის დამთავრების შემდეგ რკინიგზის სატრანსპორტო გადაზიდვების პროფესიას დაეუფლა, მაგრამ ამ პროფესიით არსად უმუშავია. მუშაობდა იქ, სადაც შეეძლო დასაქმებულიყო. 22 წლის ახალგაზრდა ახალა კომპანია „ბალფის" ოპერატორია.**

**იუმორით სავსე, სიცოცხლეზე უზომოდ შეყვარებული, ყველასათვის საყვარელი პიროვნებაა. უცნაური, რადაცნაირად უცნაური სიყვარულით უყვარს დედ-მამა, ერთადერთი დაიკო და ყველა, ყველა, ვისაც კი ქართული და საქართველო უყვარს. ხშირად ლექსებით, კაფიებით, შაირებით ეპაექრება ფილოლოგებს, დედას – დალი ოსეფაშვილს და დაიკო – ნაზის. გამარჯვებული მუდამ გურამი გამოდის –- არასოდეს ეძებს სიტყვას, რითმას, აზრს...**

**წერს თავისთვის, ჩუმად, უპრეტენზიოდ. არც გამომზეურებას ცდილობს. უბრალოდ, მოვახერხეთ და გამოვტაცეთ ლექსები, რომლებიც დღეს ერთი-ორი წუთით თქვენს ყურადღებას მიიპყრობს...**

***

ფიქრში დამათენდა თეთრი ღამეები,
მესმის წვიმის წვეთთა სველი აკორდები,
ღმერთებს შევურაცხყოფ
ნერვიული ხმით
და მაინც მიკვირს, რატომ მაგონდები?!
სული გაიჟღინთა ვნების ალკოჰოლით,
ვადა გაუვიდა ყველა დაპირებას,
სევდა დაიღალა წლების მარტო ყოფნით,
დღეს მე უნდა ავყვე გულის ახირებას.
ქრება სიყვარული, როგორც იარები
ისევ წვიმაა და ისევ მაგონდები,
გაწყდა ჩვენი გრძნობის ყველა არტერია,
მე კი მონატრებად დავიცლები!

***

უარით ვისტუმრებ შენდამი ჩემს
გრძნობებს
უთქმელი სიტყვები ლექსებად გავრითმე,
ბედნიერების მსურველთა რიგში
გვერდზე გავდექი და ადგილი დაგითმე.
წახვედი, როგორც გჩვევიათ ქალებს,
შენდამი გრძნობებს საფლავშიც
წავიღებ
პატიებას გთხოვ, მაგრამ ვიცი, რომ
ჩემ სიტყვებს მაინც ვერასდროს გაიგებ.
შენს გამო ეშმაკს მივყიდე სული,
ახლა ტანჯულის ჩამესმის გმინვა,
შენი სხეულის სითბო მჭირდება,
რომ შემაწუხებს დეკემბრის ყინვა
აი, ახლაც წვიმს თითქოს პირველად,
მე კი ვდგავარ და გიჟივით ვსველდები,
მე სწორედ ახლა მინდა ტირილი,
წვიმაში არ ჩანს ჩემი ცრემლები.

***

სული წარმიწყდა და ეშმაკს მიესახლა,
გულში აღარ დარჩა გრძნობა
აღარც ერთი,
მარტო გაღიმება რა საკმარისია,
მე შენგან მინდა კიდევ უფრო მეტი.
რაღაც უაზრო შეგრძნებებს ავყევი,
თითქოსდა ჩემს თავს მოკვლას
ვუპირებდე,
მინდა ერთად ვიყოთ შუაგულ
უდაბნოში...
შენ ტიროდე და მე კი გიყურებდე.
შენი სიტყვები ვაქციე მცნებად,
ღმერთის ნათქვამი ფეხზე დავიკიდე ...
ქარი მაბრკოლებს, მე კი არ ვნებდები –
მოვალ, ჩაგიხუტებ, რომ არ გამიცივდე

***

დღესაც ვუბერავთ მე, შენ და ქარი ...
ხვალ მე და წვიმა ვიტირებთ ერთად ...
ზეგ კი მე და მზე ისევ გაგათობთ...
მაზეგ სიკვდილი წამიყვანს ღმერთთან.!

***

პანდორა ისევ იმედს გვიმალავს,
პილატე იუდას ესვრის მონეტებს,
პიკასოს ფუნჯმა ფერი დაკარგა,
მოცარტი კრძალვით დაწვავს სონეტებს,
გაგიჟებულა აინშტაინი,
არარსებულში ეძებს ფორმულებს,
ნაპოლეონი დამარცხებულა,
და მოედანზე ახრჩობს ორგულებს.
იასონს ზურგის ქარი უბერავს,
ელინელები აგებენ ტროას,
დიონისე კი ოლიმპოს მთაზე
ჩაფიქრებულა, არ იმჩნევს თრობას.
სად არის მოსე! დაეძებს ყველა!
წავიდა, ჩუმად ღმერთთან საუბრობს!
ჰიტლერმა ხალხი შემოიკრიბა –
ომის დაწყება უნდა აუწყოს
დაბერდა, უკვე ვეღარ წერს სწორად –
აზრები აღარ მოსდის მოპასანს,
შოთა განუდგა გარე სამყაროს
და შეშლილივით იწერს „ტყაოსანს"
კლეოპატრა კი უღიმის სატრფოს
(იქნებ ღიმილში შურიც ერიოს)
მთელი სამყარო გაგიჟებულა
ყველა მე მეძებს, ბრძენს და გენიოსს!!!

***

რაც არ უნდა მოხდეს, მაინც ჩემი ხარ.
შენს გარეშე სიცოცხლეც კი არ მსურს.
მინდა სიგარეტის კვამლი კი არა,
შენი კოცნა რომ მახვევდეს თავბრუს.
მომაკვდავსაც ხომ აძლევენ კიდევ
ერთ შანსს,
მზად ვარ შენი ყველა ცოდვა
დავიბრალო.
იცი? ზოგჯერ ისე ძლიერ მენატრები,
რამისაა გავბედო და შეგიყვარო.
სულს მივცემდი ეშმაკს ოღონდ მენახე,
დანტესავით დღეს ბოლოჯერ ვსცოდავ.
მომეკიდა შენი ვნების სიმთვრალე,
მუხლმოყრილი შენს წინ ლექსებს
ვბოდავ.
კვაზიმონდოს აერევა ნოტები,
შეშლილივით ააჟღერებს ზარებს,
ჩამომკიდეს მოედანზე სასიკვდილოდ,
ჩადრშიც ვიცნობ შენს მორცხვ
მწვანე თვალებს.
დღეს ბოლოჯერ გეტყვი: "მე შენ მიყვარხარ"
ამის გამო მიწოდებენ სულელს.
შიშის გრძნობა ჩემში უცებ გაქრა
ოლიმპოზე ზევსთონ ვგეგმავ დუელს.

***

**მთვრალ-ფხიზელი** გალაკტიონი საავადმყოფოს დერეფანში ბოლთას სცემდა. როგორც ყოველთვის, მას არავინ აქცევდა ყურადღებას. ფანჯარასთან სკამი დგას. სკამზე კოხტად დაკეცილი ხალათია. დიახ ,ბატონებო, ის თვითმკვლელობის მიზნით არ გადამხტარა ფანჯრიდან, მას მოეჩვენა. რომ ქვემოთ ზღვა ლივლვებდა ამიტომაც ლამაზად კეცავს ხალათს და ისე ეშვება ფანჯრიდან თითქოს ზღვაში შეცურდა

ბოლო ჭიქას ვსვავთ ახლა მე და
გალაკტიონი
უღირს პოეტებს გამოგველია
ღვინოც სათქმელიც
უსიტყვოდ მხოლოდ იმ პოეტს
ესმის, ღმერთს რომ ვეძახით
გალაკტიონს სურს ზღვაში
შეცურდეს – გაუღეთ სარკმელი.

***

გუშინ ღმერთმა წამიყვანა თავისთან...
გამიხარდა, სიმშვიდე რომ ვპოვე
ტანჯვისათვის პატიება მთხოვა
მე კი შენი სიყვარული ვთხოვე!
სამოთხესაც შეპარვია გაზაფხული,
ვაშლის ტოტებს ყვავილები ფარავდა,
ბეთჰოვენმა შენ მოგიძღვნა სონეტები,
ფიროსმანი ქოლგით ხელში გხატავდა.
მოდი, ვნახოთ შენი ბოლო სამყოფელი,
სიცოცხლეში შენ ამისთვის იღწვოდი...
ცალი თვალით შევიხედე ჯოჯოხეთში
შენს გარეშე ცეცხლის ალში ვიწვოდი.
აქვე ახლოს უფალს ჰყიდდა იუდა,
საწყალს თვალზე ისევ ცრემლი
სდიოდა...
მაწამებდნენ, მაგრამ ხორცი კი არა
ჯოჯოხეთშიც უშენობა მტკიოდა!

***

გალაკტიონს არ უყვარდა პოეზია,
გალაკტიონს არ უყვარდა მერი,
მას უყვარდა წაქცეული ბავშვი
და იმ ქუჩის უგემური მტვერი.
ერთ ბოთლ ღვინოს გაატანდა სევდას,
მერე ფიქრში ათენებდა ღამეს,
მოივლიდა ფეხით ყველა ქუჩას,
მთაწმინდაზე ლექსს უძღვნიდა მთვარეს.
ლურჯა ცხენებს გააქროლებს ქარში,
მერის დღემდე ჯვრისწერა ვერ აპატია!
მეფე ლირიც აატირა თავის ლექსში,
მესაფლავე, სთქვი, რომელი საათია?
ფანჯარასთან იგი სიკვდილს ეზიარა ,
ვარდიც ისევ გაიტაცა სილაჟვარდემ,
სარკმლის კიდეს მოსწყდა,
როგორც წვიმის წვეთი ,
მეფე მოკვდა ... დავიტირეთ მე და ღამემ!



## გარეჯული სპორტი

# შედეგები, წარმატებები და მომავლის საკეთებლები

***ბასული წლის ბოლოს აიპ „საგარეჯოს სპორტგაერთიანებამ“ ის შედეგები შეაჯამა, რომლის მისაღწევადაც მთელი წლის განმავლობაში გაერთიანების თითოეული თანამშრომელი დიდი შემართებით იღწვოდა. გაერთიანებაში არსებული, მოქმედი 12 სექციიდან მიღწევები თვალსაჩინო იყო. გასული წლის შედეგებზე გვესაუბრება გაერთიანების დირექტორი ბია (გიორგი) მაისურაძე:***

– სპორტსმენისაგან წარმატებებს თუ ველოდებით, მაშინ შესაბამისი სავარჯიშო თუ დასასვენებელი პირობებიც უნდა ჰქონდეთ მათ შექმნილი. მინდა ვთქვა, რომ მთელი განვლილი წლის პერიოდში ჩვენი გაერთიანების თანამშრომლებსა და ჩვენს მოსწავლე სპორტსმენებს ყურადღება არ მოგვკლებია ჩვენი მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობიდან და პირადად მუნიციპალიტეტის გამგებლის გიორგი გზირიშვილისაგან. ამიტომაც იყო, რომ ჩვენმა აღსაზრდელებმა მართლაც გარკვეულ წარმატებებს მიაღწიეს ამ ყურადღებისა და ხელისშეწყობის შედეგად.

ჩვენმა სპპორტსმენებმა ავსტრიის ქალაქ ობერვარტში ***ევროპის ჩემპიონატში ძიუდოში*** ახალგაზრდებს შორის (თამაზ კირაკოზაშვილი – ოქრო, თამაზ კირაკოზაშვილი და კობა მჭედლიშვილი გუნდური) – ბრინჯაოს მედლები, ასევე ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს არაბეთში ქ. აბუ-დაბში გამართულ ***მსოფლიო ჩემპიონატში ახალგაზრდებს შორის*** (თამაზ კირაკოზაშვილი – ვერცხლი, ირაკლი კუპატაძე – ბრინჯაო, თამაზ კირაკოზაშვილი და კობა მჭედლიშვილი (გუნდური) ვერცხლი); ბრინჯაოს მედალი – ბოსნია-ჰერცოგოვინაში, ქ. სარაევოში გამართულ ***მსოფლიო ჩემპიონატიდან ჭაბუკთა შორის*** – ელდარ ჯიქიძე (გუნდური); ორი ოქრო – საბერძნეთის ქალაქ ათენში გამართულ ***ევროპის თასზე ახალგაზრდებში*** (ირაკლი კუპატაძე და კობა მჭედლიშვილი), ვერცხლი – გერმანიის ქალაქ ბერლინში – ***მსოფლიო თასზე ახალგაზრდებში*** (თამაზ კირაკოზაშვილი) ვერცხლი – თურქეთში, ქ. ანტალიაში ევროპის თასზე ჭაბუკებში (ელდარ ჯიქიძე.

ვერცხლის და ბრინჯაოს მედლები ***საქართველოს ჩემპიონატში*** ახალგაზრდებში ვერცხლი (ირაკლი კუპატაძე), ბრინჯაო (კობა მჭედლიშვილი);

***საქართველოს ჩემპიონატი დიდებში*** – ბრინჯაო (კობა მჭედლიშვილი);

***საქართველოს ჩემპიონატი უმცროს ჭაბუკებში*** – ბრინჯაო (ნიკა ბასილაშვილი);

ახმეტაში გამართულ ***რეგიონულ პირველობაზე ძიუდოში 3 ოქრო*** (ირაკლი კუპატაძე, სოლომონ თედიაშვილი, სიმონ მამარდაშვილი, კობა მჭედლიშვილი), ორი ვერცხლი (ნიკა ყუშიტაშვილი, ოთარ კაციაშვილი) და ორი ბრინჯაო (ლაშა ხარატიძე და ვანო მამისაშვილი).

***სამბოში საქართველოს ჩემპიონატზე*** ჭაბუკებში ერთი II ადგილი (ამირან დარბაისელი) და ოთხი მესამე ადგილი (ნიკა ბასილაშვილი, ლაშა მათიაშვილი, ბეჟან ხოზრევანიძე, სიმონ მამარდაშვილი);

***საქართველოს ჩემპიონატი ახალგაზრდებში:***

ერთი I ადგილი (ირაკლი კუპატაძე, ერთი II – სიმონ მამარდაშვილი და სამი მესამე ადგილი – ოთარ კაციაშვილი, ლაშა ხარატიძე, სოლომონ თედიაშვილი).

***ევროპის ჩემპიონატი ახალგაზრდებში:***

ერთი პირველი ადგილი (ირაკლი კუპატაძე).

ბელორუსიის ქ. მინსკში გამართულ ***მსოფლიო ჩემპიონატში*** ერთი III ადგილი (ირაკლი კუპატაძე);

ქ. ერევანში გამართულ ***მსოფლიო ჩემპიონატზე ჭაბუკებში*** ერთი I ადგილი (სიმონ მამარდაშვილი);

რაც შეეხება ***ქართულ ჭიდაობას, საქართველოს ჩემპიონატში ჭაბუკებში:***



პირველი ადგილი – ამირან დარბაისელი (2 პირველი ადგილი), ნიკა ბასილაშვილი (1 პირველი ადგილი და ერთი III ადგილი), ლაშა მათიაშვილი (II ადგილი), გუგა მღებრიშვილი (III ადგილი).

***საქართველოს ჩემპიონატიდან დიდებში*** კი სამი I ადგილი (კობა მჭედლიშვილი, ირაკლი კუპატაძე, ოთარ კაციაშვილი), მესამე ადგილი (სიმონ მამარდაშვილი). ყველა ზემოთ ჩამოთვლილი სპორტსმენების მწვრთნელები არიან მამუკა მათიაშვილი და ნუკრი გაგნიაშვილი, ნიკა ბასილაშვილის მწვრთნელი კი ლევან ბასილაშვილია.



**ქალთა ძიუ-დო** (მწვრთნელი ლუდმილა ფერაძე);

აქ მნიშვნელივანი წარმატებები აქვთ ***საქართველოს პირველობაზე:***

ოთხი I ადგილი (ნატალია ყიფშიძე, სალომე ბლიაძე, სალომე არაბული, მარიამ ლაფაჩიშვილი, თინანო რევაზიშვილი), ორი II ადგილი (ლალი ხოსიტაშვილი, ანა ასანიშვილი), რვა III ადგილი (მარიამ ხოსიტაშვილი, მარიამ კოხტაშვილი, ხათუნა თვაური, ლილე ხარანაული, ანა ბერიძე, ვარდიკო ბუჩაშვილი, სალომე და ნელი გულისაშვილები).

***ასპინძის საერთაშორისო ტურნირიდან:***

5 პირველი ადგილი (ნატალია ყიფშიძე, სალომე ბლიაძე, სალომე არაბული, სალომე გულისაშვილი, თინანო რევაზიშვილი), სამი I ადგილი (ლალი ხოსიტაშვილი, ნელი გულისაშვილი, მარიამ კოხტაშვილი), სამი III ადგილი (მარიამ ხოსიტაშვილი, ლილე ხარანაული, ანა ასანიშვილი).

***თბილისის ოლიმპიური ფესტივალი – 2015-დან***

მესამე ადგილი (ნატალია ყიფშიძე).

***თავისუფალი ჭიდაობა***
***ევროპის ჩემპიონატიდან:***



ერთი I ადგილი (ზურაბ ერბოწონაშვილი);

***საერთაშორისო ტურნირი ბათუმში***

სამი I ადგილი (გიგი ქურხული, დავით კუჭუაშვილი, დავით მარტაშვილი);

ერთი III ადგილი (ფირუზ ქვლივიძე);

ქალაქ ერევანში გამართული ***საერთაშორისო ტურნირიდან:***

ერთი II ადგილი (ბაჩო ქვლივიძე), ერთი III ადგილი (დავით კუჭუაშვილი);

ამბროლაურში გამართული ***საერთაშორისო ტურნირიდან:***

ერთი II ადგილი (თორნიკე ასაბაშვილი), ორი მესამე ადგილი (ფირუზ ქვლივიძე და ბაჩო ქვლივიძე).

***საქართველოს ჩემპიონატიდან***

ერთი III ადგილი (ბექა როჭიკაშვილი);

**კრივი** (მწვრთნელი ზურაბ იმნაძე)

ახალქალაქში გამართულ ***საქართველოს ჩემპიონატში ახალგაზრდებს*** შორის

ერთი III ადგილი (გიორგი კოხტაშვილი);

ქ. გურჯაანში ***საქართველოს ჩემპიონატიდან:***

ერთი II ადგილი (რომან ფილაური) და ერთი III ადგილი (ლუკა ლუკავა).

**საფეხბურთო კლუბი „გარეჯი“**

***საქართველოს 2014-2015 ეროვნულ ჩემპიონატში***

აღმოსავლეთის ზონის II ლიგის გათამაშება – VI ადგილი;

***კახეთის 2014-2015 წლის ჩემპიონატი*** ფეხბურთში:

2002-2003 წწ დაბადებულ ბავშვთა გუნდებს შორის – IV ადგილი;

გიგა ნორაკიძის სახელობის ღია ჩემპიონატი:

2003 წელს დაბადებულ ჭაბუკებს სორის – მეოთხე ადგილი.

***ჟიული შარტავას სახელობის აღმოსავლეთ რეგიონული ჩემპიონატი***

2000 წელს დაბადებულთა შორის – მეექვსე ადგილი.

***საქართველოს ფუტსალის ასოციაციის კახეთის თასზე*** – პირველი ადგილი.

**რაგბი**

***2001-2002 წლიანებში შვიდკაცა რაგბის ტურნირი*** – 12 გუნდიდან V ადგილი;

***ჭაბუკთა „ა“ ლიგა 24 გუნდში*** – XV ადგილი;

***2014-2015 წლებში I ლიგა*** – V ადგილი;

***რაგბის მოთამაშეთაგან:***

***ლაშა ბრეგვაძე*** არის 20 წლამდე საქართველოს ნაკრებში, რომელიც მონაწილეობას მიიღებს მსოფლიო ჩემპიონატში ინგლისში.

***მამუკა ჭინჭარაული*** – 19 წლამდე ნიჭიერთა აკადემიაშია;

ალექსი მუჩიაშვილი, თემურ ტეტიაშვილი, შოთა შალვაშვილი – 18 წლამდე ნაკრებში, ოთო ზუკაკიშვილი – 17 წლამდე ნიჭიერთა აკადემიაშია.

**ჭადრაკი**

ნიკოლოზ კევლიშვილი, დაბადებული 2004 წელს (მწვრთნელი ირაკლი ქვლივიძე) –

***საქართველოს ჩემპიონატი 12 წლიანებში*** – II ადგილი;

***საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის თასის*** მფლობელი 12 წლიანებში;

***საქართველოს საჭადრაკო ფედერაციის „ბათუმის მერიის თასზე“*** – მეორე პრიზიორი;

***საქართველოს ვაჟთა ჩემპიონატის I ლიგის შესარჩევი ტურნირი*** – III პრიზი;

***ევროპის ჩემპიონატის*** მონაწილე 12 წლიანებში.

***ზურა გამრეკელაშვილი*** – დაბადებული 2007 წელს (მწვრთნელი ირაკლი ქვლივიძე):

***კახეთის ჩემპიონი 8 წლიანებში,***

***კახეთის ჩემპიონატის მეორე პრიზიორი*** 10 წლიანებში;

***საქართველოს ჩემპიონატის პირველი ლიგის გამარჯვებული;***

***საერთაშორისო საჭადრაკო ფესტივალი „ბათუმი-2015“***-ის მეოთხე ადგილის მფლობელი.

***ლევან დალბაშვილი*** – დაბადებული 2004 წელს (მწვრთნელი ელენე ფარეშიშვილი)

***საქართველოს ჩემპიონატი 10 წლამდე*** – III ადგილი;

***კახეთის ჩემპიონატი 10 წლამდე***

ფედერაციის თასი – II ადგილი;

ბათუმის საერთაშორისო ტურნირი – III ადგილი.

***გიგი ივანელაშვილი*** – დაბადებული 2004 წელს (მწვრთნელი ელენე ფარეშიშვილი).

***კახეთის ჩემპიონატი 10 წლამდე*** – III ადგილი.

ნინო ესაიაშვილი – დაბადებული 2007 წელს (მწვრთნელი ნანი უნაფქოშვილი):

***7 წლამდე საქართველოს ჩემპიონატი*** – III ადგილი;

***8 წლამდე საქართველოს ჩემპიონატის შესარჩევი*** – III ადგილი;

***შოთა ინწკირველის მემორიალი*** – III ადგილი;

***რაჭის საერთაშორისო ფესტივალი*** – III-IV ადგილი;

***საკვალიფიკაციო ტურნირში*** III თანრიგი შეასრულა.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, ჩვენს აღსაზრდელ სპორტსმენებს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობიდან ყურადღება არ მოჰკლებიათ. ისინი გამგეობამ მიღწეული წარმატებებისათვის ფულადი ჯილდოებითაც დაასაჩუქრა. ასეთივე ყურადღებას და თანადგომას ვგრძნობთ ახალი წლის დასაწყისიდანვე. სწორედ მუნიციპალიტეტის გამგებლის უშუალო დამსახურებაა ის, რომ მიმდინარე წელს ჩვენი ფეხბურთელებისათვის საუკეთესო პირობების შესაქმნელად საგარეჯოში არსებული სტადიონი განახლდება კაპიტალურად, რისთვისაც რეგიონული განვითარების ფონდიდან ერთი მილიონ 200 ათასი ლარია გამოყოფილი.

სპორტდარბაზის III სართული, როგორც მოგეხსენებათ, სასტუმროს დანიშნულებას ასრულებს. მიმდინარე წელს აქ მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯრით შეიცვლება უკვე ამორტიზებული ხის კარ-ფანჯარა. ამავე სართულზე მოეწყობა



გათბობის სისტემა, სპორტდარბაზში შეკეთდება ორთქლის აბანო. ყოველივე ეს კი დიდად შეუწყობს ხელს ჩვენი აღსაზრდელების ფიზიკური წვრთნების ნორმალიზებისატვის. როგორც მუნიციპალიტეტის გამგებელი ბ-ნი გიორგი გზირიშვილი დაგვპირდა, მარტში ჩვენი გაერთიანების აღსაზრდელი სპორტსმენებისათვის უფრო მეტის გაკეთებას აპირებს, რითაც კიდევ უფრო მეტი ხელისშეწყობა იქნება მათთვის იმ წარმატებების მისაღწევად, რაც მათ წინ ელოდებათ. მინდა გაზეთის ფურცლებიდან ჩვენი გაერთიანების სახელით ***მადლობა ვუთხრა ბ-ნ გიორგი გზირიშვილს მუნიციპალიტეტის სპორტსმენებზე ასეთი ზრუნვისა და გვერდში დგომისათვის. ასევე, მადლობა მინდა ვუთხრა შპს „მექანიზატორის“ დირექტორს გია მარხვაშვილს***, რომელმაც ქ. საგარეჯოში არსებული სატრაქტორო პარკის ეზოში მდებარე შენობაში გამოგვიყო კრივის სექციისათვის ფართი. აქ 120მ2 ფართობზე ჩავასხით ბეტონი, გავარემონტეთ დარბაზი, სადაც დღეს მწვრთნელ ზურაბ იმნაძის ხელმძღვანელობით 40-მდე მოკრივე ვარჯიშობს, მათ შორის 2 საქართველოს პრიზიორია.

ამჟამად საგარეჯოს სპორტგაერთიანებაში 12 სექცია ფუნქციონირებს. მათგან რამდენიმესთვის საჭირო და აუცილებელი პირობები გვაქვს შესაქმნელი, რაშიც კვლავაც მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობისა და ვეტერანი სპორტსმენების თანადგომის იმედი გვაქვს. დღეს ყველა მწვრთნელი და აღსაზრდელ-სპორტსმენი მოტივირებულია იმ გამარჯვებებისათვის აქტიური მზადყოფნისთვის, რომლებიც მათ მსოფლიო, ევროპისა თუ ქვეყნის ტატამებსა და სპპორტულ არენებზე ელოდებათ.



# საგარეჯოს მუნიციპალიტეტის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები
## (არასრული მონაცემები)

**დასასრული**

39. მეჩეთი XX ს. სოფ. დუზაგრამა
40. ამაღლების ეკლესია შუა საუკ. სოფ. ვაშლიანი
41. ეკლესია “ადგილის დედა” გვიანი შუა საუკ. სოფ. ვაშლიანი
42. ციხე-ეკლესია შუა საუკ. სოფ. ვერონა, მიდამოები
43. წმ. გიორგის ღვთისმშობლის
სახელობის ეკლესია და ციხე ადრე შუა საუკ. სოფ. ვერხვიანი
44. ღვთისმშობლის ეკლესია XIX-XX სს. სოფ. ზემო ყანდაურა
45. ყველაწმინდის ეკლესია გვიანი შუა საუკ. სოფ. ზემო ყანდაურა
46. წმ. გიორგის ეკლესია XIX-XX სს. სოფ. ზემო ყანდაურა
47. ღვთისმშობლის შობის
სახელობის ეკლესია 2006-2007წწ სოფ. ბადიაური
48. ეკლესია დიდი კალობანი XIX ს. სოფ. თოხლიაური, მიდამოები
49. ეკლესია მცირე
ღვთისმშობლის სახ. კალობანი შუა საუკ. სოფ. თოხლიაური, მიდამოები
50. მთავარმოწამის ეკლესია გვიანი შუა საუკ. სოფ. თოხლიაური, ჩრ-ით
51. წმ. გიორგის ეკლესია განვით. შუა საუკ. სოფ. თოხლიაური, მიდამოები
52. ღვთისმშობლის ეკლესია XIX-XX სს. სოფ. კაკაბეთი
53. კავთის წმ. გიორგის ეკლესია განვით. შუა საუკუნეები სოფ. კაკაბეთი,
ჩრდ-ით 2-3 კმ. ტყეში
54. კავთის ღვთისმშობლის ეკლესია განვით. შუა საუკ. სოფ. კაკაბეთი,
ჩრდ-ით 2-3 კმ. ტყეში
55. ჭეხილას ციხე VI-XIXს სოფ. კოჭბაანი
56. ეკლესია IX-X სს. სოფ. კოჭბაანი, სასაფლაოზე
57. კვირიას ეკლესია გვიანი შუა საუკ. სოფ. კოჭბაანი, სასაფლაოზე
58. ეკლესია ადგილის დედა გარდამავალი ხანა სოფ. კოჭბაანი, ნასოფლარი
“ბოტკი”, ტყეში
59. არქიტექტურული კომპლექსი გვიანი შუა საუკ. სოფ. კოჭბაანი, მიდამოები
მთებზე
60. თელეთის წმ. გიორგის ეკლესია გვიანი შუა საუკ. სოფ. მანავი
61. ღვთისმშობლის ეკლესია გვიანი შუა საუკ. სოფ. მანავი, ნასოფლარი
62. მანავის ციხის კომპლექსი IX-X სს. სოფ. მანავი, მიდამოები მთაზე
63. ეკლესია დიდი ოდიში გვიანი შუა საუკ. სოფ. მანავი, ჩრ-ით 1,5 კმ.
64. ეკლესია მცირე ოდიში გვიანი შუა საუკ. სოფ. მანავი, ჩრ-ით 1,5 კმ.
65. ეკლესია (გრეგორიანული) XVIII ს მანავის ციხეზე
66. ეკლესია მართლმადიდებლური) VII ს. მანავის ციხეზე
67. „ქაშვეთის“ ეკლესია გვიანდელი საუკუნეების მანავი (სასაფლაოზე)
68. თელეთის წმ. გიორგის
სახელობის ეკლესია გვიანდელი საუკუნეების თარაქში



69. ნათლისმცემლის ეკლესია VI-XII სს მანავი
70. „ქალის ციხე“ X-XIსს მანავი
71. ეკლესია თათრების ციხე გვიანი შუა საუკ. სოფ. მანავი, მიდამოები
72. წმ. მარინეს ეკლესია გვიანი შუა საუკ. სოფ. მარიამჯვარი, ჩრ-ით 2 კმ.
73. ღვთისმშობლის ეკლესია გვიანი შუა საუკ. სოფ. ნინოწმინდა, მიდამოები
74. წმ. ელიას ეკლესია გვიანი შუა საუკ. სოფ. ნინოწმინდა, მიდამოები
75. წმ. გიორგის ეკლესია განვით. შუა საუკ. სოფ. ნინოწმინდა, მიდამოები
76. ნინოწმინდის ანსამბლი,
მონასტერი V–XVIII სს. სოფ. ნინოწმინდა
77. ღვთისმშობლის სამეკლესიანი
ბაზილიკა გარდამავალი ხანა სოფ. ოთარაანი
78. ღვთისმშობლის ეკლესია გვიანი შუა საუკ. სოფ. პატარა ჩაილური
79.„კოპალეს“ ეკლესია წარმართული დროიდან
VI-XIXსს სოფ. პატარა ჩაილური
80. წმ. მარინეს ეკლესია, ხატი გვიანი შუა საუკ. სოფ. პატარა ჩაილური, აღმო-ით
81. ნიახურას ციხე XVIII ს ჩაილური
82. ეკლესია „ბობოქარი“ წარმართული ხანის პატარა ჩაილური (ყოფილი 8-წლიანი სკოლის)
83. გახვრეტილი ციხე VI-XVIIIსს პატარა ჩაილური
84. მარანი XIX-XX სს. სოფ. პატარძეული,
მუჩიაშვილების კარმიდამო
85. ღვთისმშობლის ეკლესია XIX-XX სს. სოფ. პატარძეული
86. კვირაცხოვლის ეკლესია XIX-XX სს. სოფ. პატარძეული
87. ეკლესია კოპალე წარმართული ხანა-
გვიანი შუა საუკ. სოფ. პატარძეული
88. წმ. შიოს დიდი ეკლესია XIX-XX სს. სოფ. პატარძეული
89. წმ. შიოს მცირე ეკლესია გვიანი შუა საუკ. სოფ. პატარძეული
90. ღვთისმშობლის ეკლესია გვიანი შუა საუკ. სოფ. პატარძეული, სასაფლაოზე
91. წმ. გიორგის ეკლესია გვიანი შუა საუკ. სოფ. პატარძეული, ჩრ-ით 4 კმ.
92. წმ. გიორგის ეკლესია გვიანი შუა საუკ. სოფ. პატარძეული, ნასოფლარი
პატარძეული, ბერთუბანი





93. წმ. სტეფანეს ეკლესია შუა საუკ. სოფ. პატარძეული, დას-ით 4 კმ.
94. წმ. გიორგის სახ. ეკლესია XVIს სოფ. პატარძეული
95. ბუტულაანთ ციხე XVIIIს პატარძეული
96. მრიზის კოშკი XVIIIს. პატარძეული
97. წმ. ევსტათი მცხეთელის
სახელობის ეკლესია პატარძეული
98. თამარის ეკლესია XVI-XVII სს. სოფ. რუსიანი, მიდამოები
99. რუსიანის ციხე-ეკლესიით XVII-XVIII სს. სოფ. რუსიანი, მიდამოები
100. მთავარანგელოზთა სახელობის ეკლესია XX ს. სოფ. უდაბნო
101. დავით გარეჯის
გამოქვაბული მონასტერი VI-X სს. სოფ. უდაბნო, მიდამოები
102. ლავრა. გამოქვაბული მონასტერი VI-XVIII სს სოფ. უდაბნო, მიდამოები
103. ნათლისმცემელი. გამოქვაბული XI-XVIII სს. სოფ. უდაბნო, მიდამოები
104. დავით გარეჯის უდაბნო.
გამოქვაბული მონასტერი X-XVIII სს. სოფ. უდაბნო, მიდამოები
105. ჩიჩხიტური.
გამოქვაბული მონასტერი შუა საუკ. სოფ. უდაბნო, მიდამოები
106. წმ. დოდოს სახ. მონასტერი V-XVIIIსს. სოფ. უდაბნო, მიდამოები
107. წამებული. გამოქვაბული
მონასტერი შუა საუკ. სოფ. უდაბნო, მიდამოები
108. უჯარმის უდაბნო VI-VIII-IXსს სოფ. უჯარმა, მიდამოები
109. ჯვარპატიოსნის ეკლესია IV-VIII სს სოფ. უჯარმა, უჯარმის ციხე-ქალაქი
110. წმ. რაჟდენის ეკლესია V-XVIIIსს სოფ. უჯარმა, მიდამოები
111. წმ გიორგის სახ. ეკლესია XVIIIს სოფ. უჯარმა, მიდამოები
112. წმ. მარიამის სახ. ეკლესია XVI-XVIIსს სოფ. უჯარმა, მიდამოები
113. სულიწმინდის სახ. ეკლესია XVI-XVIIIსს სოფ. უჯარმა, მიდამოები
114. ავალიანთ საყდარი
წმ. გიორგის სახ. 1753წ. სოფ. პალდო
115. ციხე-ქალაქი უჯარმა V-XVIII სს. სოფ. უჯარმა, მიდამოები
116. კვირაცხოვლის ეკლესია ადრე შუა საუკ. სოფ. უჯარმა, ძვ. სასაფლაოზე
117. ნათლისმცემლის ეკლესია ადრე შუა საუკ. სოფ. უჯარმა, ძვ. სასაფლაოზე
118. მთავარანგელოზთა ეკლესია ადრე შუა საუკ. სოფ. უჯარმა
119. წმ. გიორგის ეკლესია გვიანი შუა საუკ. სოფ. უჯარმა
120. დურგლიანთ საყდარი ადრე შუა საუკ. სოფ. უჯარმა, მიდამოები
121. ფიდნის ეკლესია XVIII ს სოფ. უჯარმა
122. დათუნაანთ საყდარი XVIII ს სოფ. უჯარმა
123. აბელაანთ საყდარი XVIII ს სოფ. უჯარმა
124. ნინიკელაანთ საყდარი XVIII ს სოფ. უჯარმა



125. გოხის ეკლესია VI-XVIII სს სოფ. უჯარმა
126. კახელების ეკლესია VI-XVIII სს სოფ. უჯარმა
127. ყველაწმინდის ეკლესია განვით. შუა საუკ. სოფ. ქვემო ყანდაურა,
სასაფლაოზე
128. ღვთისმშობლის ეკლესია განვით. შუა საუკ. სოფ. ქვემო ყანდაურა
129. ღვთისმშობლის ეკლესია XIX-XX სს. სოფ. შიბლიანი
130. წმ. თევდორეს ეკლესია XIX-XX სს. სოფ. შიბლიანი
131. ხაშმის კაწარეთის სამება.
მონასტერი VI-XVIII სს. სოფ. ხაშმი, მიდამოები
132. ღვთისმშობლის ეკლესია XIV-XV სს. სოფ. ხაშმი, მიდამოები
133. იოანე ნათლისმცემლის
ეკლესია განვით. შუა საუკ. სოფ. ხაშმი
134. ჩოლოყაშვილების სასახლის
კარის წმ. ნიკოლოზის სახ. ეკლესია გვიანი შუა საუკ. სოფ. ხაშმი
135. ნაჩაფრალების ეკლესია XVI-XVIIIსს სოფ. ხაშმი (ვაკე ტყეში)
136. წიფლის ტყის ეკლესია XVI-XVIII სს სოფ. ხაშმი, ჟატის ტერიტორია
137. წმ. მარინეს ეკლესია XVI-XVIII სს სოფ. ხაშმი, „ლაჯაბაურა
138. ციქურების ეკლესია XVI-XVIII სს სოფ. ხაშმი, ლაფიანხევის სანაპირო
139. ჯაგოდნიანთ ეკლესია XVI-XVIII სს სოფ. ხაშმი, უჯარმის ციხის მოპირდაპირე მხარეს
140. შავკაციანთ ყვავის ეკლესია XVI-XVIII სს სოფ. ხაშმი, ლაჯაბაურის ტერიტორია
141. ნაქცევ საყდრის ეკლესია XVI-XVIII სს სოფ. ხაშმი, პალდოს ფერდა
142. ყველაწმინდის
ეკლესიის კომპლექსი IX ს., გვიანი შუა საუკ. სოფ. ხაშმი, მიდამოები

***გთხოვთ მოგვაწოდოთ ცნობები ჩამონათვალში გამორჩენილი ეკლესიების შესახებ***

# მილოცვა



**დაბადების დღეს** ვულოცავთ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებელს ბატონ **გიორგი გზირიშვილს.** ვუსურვებთ ჯანმრთელობას, სიკეთეს, წარმატებებს დასახული იმ პროგრამების განხორციელებაში, რომელსაც ის უდგას სათავეში.

*აიპ „საგარეჯოს კულტგაერთიანების დირექცია და თანამშრომლები*

---

**დაბადების დღეს** ვულოცავთ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებელს, სპორტისა და განსაკუთრებით ქართული ჭიდაობის დიდ გულშემატკივარსა და გვერდში მდგომს, გარეჯელ სპორტსმენებზე მზრუნველ პიროვნებას ბატონ **გიორგი გზირიშვილს.**

ვუსურვებთ ჯანმრთელობას, სიკეთეს, ულევ სიხარულს პირად ცხოვრებასა და ჩვენი მუნიციპალიტეტის წინსვლის საქმეში.

*აიპ „საგარეჯოს სპორტგაერთიანების“ დირექცია, თანამშრომლები და სპორტსმენები*

---

აიპ „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სასმელი წყლის რეგულირებისა და ლაბორატორიული კვლევის ცენტრის“ თანამშრომლები დაბადების დღეს ვულოცავთ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებელს **გიორგი გზირიშვილს**, ვუსურვებთ ჯანმრთელობას და წარმატებებს პირად ცხოვრებასა და საზოგადოებრივ საქმიანობაში

---

**დაბადების დღეს** ვულოცავთ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებელს **გიორგი გზირიშვილს.** ვუსურვებთ ჯანმრთელობას, და წარმატებებს მუნიციპალიტეტის საკეთილდღეოდ დასახული მიზნების განხორციელებაში.

*აიპ „საგარეჯოს სათნოების სახლის“ დირექცია, თანამშრომლები და ბენეფიციარები*

---



**დაბადების დღეს** ვულოცავთ ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის შიდა აუდიტის სამსახურის*** უფროსს **ზურაბ კავთუაშვილს,** ვუსურვებთ ჯანმრთელობას, სიკეთეს და წარმატებებს სამსახურებრის საქმიანობაში.

*საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობა*

*გაზეთ „გარეჯის მაცნეს“ რედაქცია*

## კიდევ ერთი მსოფლიო ჩემპიონი მკლავჭიდში

# „თბილისობიდან“ მსოფლიო ჩემპიონატზე



***გიორგი როსტომაშვილი ნინოწმინდელია, სულ 22 წლისაა. ბავშვობაში ძიუდოს სექციაში ვარჯიშობდა, თითქოს ჭიდაობა აინტერესებდა. შემდეგ ფეხბურთით დაინტერესდა. ბოლოს კი თავის თავში დარწმუნდა — მკლავჭიდში უნდა ეცადა ბედი და სოფლის სკოლაში არ დარჩა თითქმის არავინ, ვისთვისაც მას მკლავი არ გადაეწია. მკლავჭიდი, როგორც სპორტის სახეობა, არასოდეს დაინტერესებდა მის მოგვარეებს — ყველა მაღალი, განვითარებული კუნთებით, ფიზიკურად ძლიერი როსტომაშვილები ისეთ პროფესიებს ეჭიდებოდნენ, როგორიც მძიმეგაბარიტიანი მანქანებისა და ტრაქტორების მართვაა. მუდამ შრომაში ჩართულებს მის მამა-პაპებს, ბიძებს არც არასოდეს უფიქრიათ თავი ჭიდაობაში ეცადათ, არამცთუ მკლავჭიდში. გიორგის ეამაყება, რომ მათი გვარიდან გარკვეული წარმატებები ჰქონდათ წარსულში საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატს ტარიელ როსტომაშვილს და ახალახანს ზაზა როსტომაშვილს — ევროპის ჩემპიონს ძიუ-დოში. ისე, კაცმა რომ თქვას, თვითონაც არ იცოდა, რა საქმეს მოჰკიდებდა ხელს, 2015 წელს თბილის-ქალაქობაზე მკლავჭიდში რომ არ მიეღო მონაწილეობა. აქ ყველას სძლია, თვით ბოგდანოვკელ მკლავჭიდელ გიორგი ხარებაშვილს, რომელმაც გიორგი როსტომაშვილთან მარცხენა ხელით წააგო, შემდეგ შეხვედრაში კი ორივეს ვეღარ მოუწია ფინალში შეხვედრა, რადგან მარჯვენა ხელით გადაწევაში ხარებაშვილმა უკვე სხვასთან დათმო პოზიციები. გიორგი როსტომაშვილი ახლა იხსენებს:*** — ძალიან დიდ პატივს ვცემ გიორგი და ვანო ხარებაშვილებს, ისინი პროფესიონალი მკლავჭიდელები არიან, არაერთი გამარჯვებები აქვთ და თავიანთი სოფლის ახალგაზრდობასაც სპორტის ამ სახეობაში კარგად ავარჯიშებენ. სიმართლე გითხრათ, გამიჭირდა გიორგისთან ორთაბრძოლა, მე ხომ „თბილისობაზე“ მკლავჭიდში მხოლოდ ჩემი ფიზიკური მონაცემებით ვიღებდი მონაწილეობას, არსად არ გამივლია ვარჯიში, მაგრამ რაღაცნაირად ვძლიე გიორგის. „თბილის-ქალაქობაზე“ მკლავჭიდში მეორე ადგილი ავიღე და ჩემით დაინტერესდა საქართველოს მკლავჭიდის ფედერაციის თავმჯდომარე ერეკლე გურჩიანი, რისთვისაც მისი დიდი მადლობელი ვარ. მან შემომთავაზა და ყველანაირად შემიწყო ხელი მკლავჭიდში ვარჯიშისათვის. დღეს მე საქართველოს მკლავჭიდელთა მწვრთნელ ვანო მუსელიანთან ვვარჯიშობ თბილისში. ბოგდანოვკელი მკლავჭიდელი 2015 წლის მსოფლიო ჩემპიონი მკლავჭიდში დიდებსა და ახალგაზრდებში ირაკლი ზირაქაშვილი და მე სწორედ მწვრთნელ ვანო მუსელიანის მოსწავლეები ვართ. მიხარია და მეამაყება, რომ მეც ირაკლისთან, გიორგისთან და ვანოსთან ერთად შემიძლია ჩემი სიტყვა ვთქვა ქართულ მკლავჭიდში. 2015 წლის ნოემბერში საქართველოს მკლავჭიდელთა ნაკრები პოლონეთში მეორე მსოფლიო მკლავჭიდის ჩემპიონატში იღებდა მონაწილეობას, სადაც მეც ვიყავი. მე პირველი ადგილი დავიკავე 86 კგ წონით კატეგორიაში მარჯვენა და მარცხენა ხელით გადაძალვაში. ეს იყო ჩემთვის დიდი სასიხარულო შოკი — „თბილისობიდან“ თვენახევრის ვარჯიშის შემდეგ, უცებ მსოფლიო ჩემპიონატის გამარჯვებული გავხდი. საინტერესოა, რომ აქ მოწინააღმდეგეები იყვნენ რუსები, რომლებიც არასოდეს თმობენ გამარჯვებულის პოზიციებს, ეს მათთვის დიდი წაგებაა. მიხარია, რომ სწორედ მათთან გამარჯვების ზეიმმა მომიწია. ახლა უფრო მეტი მონდომებით ვემზადები ევროპის იმ ჩემპიონატისათვის, რომელიც რუმინეთში მიმდინარე წლის მაისში გაიმართება. გასულ წელს, სექტემბერში, მალაიზიაში იყო მსოფლიო ჩემპიონატი და იმ ათკაციან ჯგუფში არ შემიყვანეს, რადგან არასოდეს მივარჯიშია. იქ ჩვენებურმა ირაკლი ზირაქაშვილმა ვერცხლის მედალი მოიპოვა, რამაც მეც იმედი და რწმენა მომცა იმისა, რომ მეც და ირაკლიც უფრო მეტ წარმატებებს მივაღწევთ. ამიტომაც ვცდილობ, ფორმაში ჩავდგე, ბევრი ვივარჯიშო და ჩემი მწვრთნელისა და ფედერაციის თავმჯდომარის იმედები გავამართლო. ჩვენი რაიონის სპორტის ისტორიაში ჩემი წარმატებებიც შევიდეს და ვასახელო საქართველო.

***წარმატებებს გისურვებთ, გიორგი!***

## დავით გულაღაშვილი



**ჩვენო** საყვარელო და მონატრებულო შვილო, 3 წელი და 6 თვე გავიდა, რაც შენს დაბადების დღეს ვეღარ ესწრები. წახვედი და დაგვიტოვე მოუშუშებელი ტკივილი გულში, ტანჯვით და დარდით გავლიეთ უშენოდ გატარებული წლები. ძალიან გვიჭირს შვილო უშენობა, უზომოდ გვენატრები და გვაკლიხარ ყველას, სულ შენს გზას გამოვყურებთ, მაგრამ არ ჩანხარ. წახვედი სამუდამოდ ჩვენგან. ღმერთსაც კარგი სდომებია თავისთან, ხო და შენ აგირჩია და წაგიყვანა. მაგრამ ძალას და გამძლეობას ჩვენი დარჩენილი შვილი გვაძლევს — ცხოვრების და სიხარულის ნაპერწკალს კიდევ ის გვაძლევს. შენი სახელი კიდევ ისმის ამ სახლში — შენი ძმისშვილი მოევლინა ამ ქვეყანას, რომელსაც შენი სახელი დავითი ჰქვია. უკვე გეძახის კიდეც, შენს სურათს უყურებს ხოლმე, გეძახის „ძიაო“ და გელაპარაკება თავის ენაზე რაღაცეებს. სწორედ ამ დავითმა დაგვიბრუნა ცხოვრების და სიხარულის ხალისი. დალოცე, შვილო, შენი პატარა ძმისშვილი. შენ ხომ ძალიან გიყვარდა პატარები — გიგასა და ნათიაზე გიჟდებოდი ხოლმე, ისინი გიყვარდა და წარმომიდგენია, შენს ძმისშვილს რომ შესწრებოდი, ალბათ გაგიჟდებოდი სიხარულისგან. მაგრამ, რას ვიზამთ?! ალბათ ეგ ყოფილა შენი ბედისწერა. მარტო ის შეგვიძლია, რომ შენთვის ვილოცოთ და ღმერთს ვთხოვოთ, მუდამ ნათელში გამყოფოს ღმერთმა, სანთელი და საკმეველი არ მოგკლებოდეს. ძალიან გვაკლიხარ, გვენატრები და გვიყვარხარ ყველას. აქედან გილოცავთ დაბადების დღეს შენი მშობლები დიდი სიყვარულით.

*მშობლები*

## გიორგი გრატიაშვილი



**32 წლის** გახდებოდი 9 თებერვალს, ჩემო გიორგი. მხოლოდ 20 წელი შეჰხაროდი სიცოცხლეს შენი ლამაზი, ცისფერი თვალებით. მაისი გიყვარდა განსაკუთრებით — ტკბებოდი ბუნების მშვენიერებით. სწორედ 31 მაისს მოხდა ჩვენთვის თავზარდამცემი, ჩვენი ოჯახისთვის დიდი ტრაგედია — ვიღაცის გაუფრთხილებლობამ თუ შენმა ბედისწერამ მარადისობაში გადაგიყვანა ამ დღეს. დადუმდა ჩვენი ეზო, სახლი, აღარ ისმის შენი ლაღი სიცილი, ომახიანი შემოძახება. მაგრამ ჭავჭავაძის ქუჩას ახსოვს შენი მორიდებული, მოზომილი ნაბიჯები, შენი მოკრძალებული საუბარი.ან კი, როგორ დაგივიწყებს მხარბეჭიან, მოხდენილ ჭაბუკს, ნაადრევად მარადისობაში გადასულს.

შენი წილი გაუნელებელი სიყვარულით გულჩათხრობილი დავდივართ ყველა. შენი დები ნათია, ციკო, ლელა, ნინო, ძმა — მიშიკო ვერ გივიწყებენ და შენს დისშვილებს შენზე დიდი, გაუხუნარი სიყვარულით უყვებიან ბავშვობისდროინდელ თავგადასავლებს, ერთად გატარებულ იმ ლამაზ წლებს...

12 წელიწადია შენს დაბადების დღეს უშენოდ აღვნიშნავთ, გიორგი. ცრემლებით, ანთებული სანთლებით, ყვავილებით გილოცავთ და უფალს ვავედრებთ შენს ლამაზ სულს — ნათელში გამყოფოს.

***დედა*** *ნუნუ უნაფქოშვილი*

# ხსოვნა

## იოსები (კალია) გიორგის ძე მირცხულავა



***(დიდი სამამულო ომის 1941-45 წწ. ვეტერანი)***

**თოთხმეტი** წელია, რაც აღარ ხარ ჩემს გვერდით. წახვედი და დამიტოვე დიდი სევდა, დროსთან ერთად რომ უფრო და უფრო მატულობს. მიუხედავად საკმაო ხანდაზმული ასაკისა, სრულიად ჯანმრთელი და ენერგიული, მოულოდნელად წახვედი ჩემგან. ამიტომ არის ასე მტკივნეული შენი დაკარგვა ჩემთვის. ნათელში ამყოფოს შენი სული ღმერთმა, უფალმა დაგიმკვიდროს სასუფეველი.

*შენი შვილი ნათელა მირცხულავა*

## ვალერი ბეჟიაშვილი



11 წელი გვაშორებს იმ 9 თებერვლის ავბედითი დღიდან, რაც მარადისობაში ჩაიწერა შენი სახელი, ჩვენო მოურჩენელო ტკივილო. იმ დღიდან ჩვენს სახლში მწარე ცრემლების სიცივემ თითქოს გაყინა ჩვენი ღიმილიც და სიხარულიც. გვიჭირს უშენობა, ვერაფერმა შეცვალა შენი მონატრების დაუოკებელი სურვილი. ლამაზ კადრებად გადის ჩვენს თვალწინ შენი , ჩვენი ბავშვობის გაუხუნარი მოგონებები. გვახსენდება მრავალფეროვანი ბედნიერებით გაცისკროვნებული ჩვენი მშობლების სახეები, გვახსენდება ის სიხარული, რომლითაც მათთვის ჩვენზე ზრუნვაში გატარებული დღეები ანიჭებდათ. როგორი ამაყები იყვნენ ისინი ჩვენით და როგორი ძლიერები ჩვენ მათი სიყვარულით და იმედით. იმედიანად შეჰყურებდნენ თითოეული ჩვენთაგანის სიმაღლეში ზრდას, ჩვენთვის ასაკის მომატებას და მართლაც რომ ვეიმედებოდით — ოჯახისთვის — კერიის ცეცხლის გასაძლიერებლად, სოფლისთვის, გულშემატკივრობისთვის და ქვეყნისთვის — ჩვენი ოჯახების გამრავლებისათვის, მაგრამ... საშინელმა ტრაგედიამ ყველაფერი მუქი ფერებით გადაფარა... შენ ოთხი თვე ებრძოდი სიკვდილს... ჩვენ კი გვჯეროდა, რომ აჯობებდი მას და დაგვიბრუნდებოდი ჩვენი მარად ხალისიანი, ჩვენი ძმობის ერთგული და საყვარელი კაცი... მაგრამ... ახლა 9 თებერვალი ჩვენთვის ის თარიღია, რომელიც გვაშორებს, ძალიან გვაშორებს შენგან, თუმცა, შენ ისევ იმ ასაკისად რჩები, ყველას რომ უყვარს და უხარია...

ნათელში გამყოფოს უფალმა. მშობლები შენი ძმების ოჯახები, ნათესავები, მეგობრები, გიორგიწმინდელები ვერ დაგივიწყებთ და სიყვარულით, სითბოთი გაგიხსენებთ.

*ტყუპისცალი ვანო ბეჟიაშვილი*

---

აიპ „საგარეჯოს სპორტგაერთიანების“ თანამშრომლები მწუხარებით იუწყებიან, ყოფილი ფეხბურთელის, ფეხბურთელთა გუნდ „გარეჯის“ მწვრთნელის **გოგა მაისურაძის** გარდაცვალებას



„გარეჯის მაცნეს“ გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე“

რედაქტორი:
თინათინ ილაური

რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო,
დ. აღმაშენებლის ქ. № 15,

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „გარეჯის მაცნეში“ დაიბეჭდა თბილისში, გამომცემლობა „კოლორში“.

ტელეფონები: 24-32-07 599 502 842
599 851 143
ელ. ფოსტა: gareji2011@mail.ru